პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 116 (19857) ხუთშაბათი, 21 მაისი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

კოლექტიურად ვაგოთ პასუხი დისციპლინისათვის

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი „შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობის შესახებ“. განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მოძრაობა ამ მიმართულებით. მრეწველობისა და მშენებლობის სფეროდან ამ მოძრაობაში მონაწილეობს ბრიგადათა დაახლოებით 15 პროცენტი, 8 მილიონამდე კაცი.

მოძრაობა იშვა მშრომელთა შემოქმედებით. სვერდლოვსკის ოლქის ფ. ა. მერკულოვის სახელობის სვევრსკის მილების ქარხანაში ბრიგადები კისრულობენ ვალდებულებებს შრომითს და საზოგადოებრივი დისციპლინის მდგომარეობისათვის კოლექტიური მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. როცა კოლექტივებში არ არის რამე დარღვევა, იყენებენ სხვადასხვა ფორმის მატერიალურ და მორალურ წახალისებას, კერძოდ, ზრდიან ანაზღაურებას წლის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით. თუ საწარმოო ან საზოგადოებრივ დისციპლინას არღვევენ ცალკეული მუშაკები, ბრიგადების კოლექტივები ყველა წევრის ნებაყოფლებითი თანხმობით უარს ამბობენ მატერიალური გასამრჯელოს ნაწილზე. კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპით ბრიგადების მუშაობის პერიოდში სამუშაო დროის დანაკარგები ქარხანაში შემცირდა შვიდჯერ, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებმა იკლო ერთიორად, კადრების დენადობამ კი ოცდაათი პროცენტით.

ამ მოძრაობის მიზანშიმართულება და ხასიათი შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის დებულებებს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს გამოიყენონ მოწინავე კოლექტივების შაგალითი და გამიდილება. კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობის განვითარებაში არ დაუშვან ადმინისტრირება, ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევა. ეს მუშაობა ჭეშდრად დაუკავშირონ სრულ სამეურნეო ანგარიშს, მართვაში დემოკრატიზმის განვითარების, საწარმოო სამეურნეო საქმიანობის მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის გამიზნულ ღონისძიებებს.

დიახ, კოლექტიური გარანტიისათვის მოძრაობა თვითმიზანი როდია, ეს ღონისძიება გამიზნულია საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის. იგი საჭიროა იმისათვის, რომ ამ მოძრაობის ყოველი მონაწილე აღვზარდოთ კოლექტივიზმის სულისკვეთებით, ჩაუნერგოთ მათ დაკისრებული საქმისათვის, შეგნებული დისციპლინისათვის დიდი პასუხისმგებლობა, უყაირათობისა და მფლანგველობისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება.

სვერდლოვსკის ოლქის სვევრსკის მილების ქარხნის ბრიგადების გამოცდილება მაღე უნდა გავრცელდეს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. რესპუბლიკის შრომის სახელმწიფო კომიტეტიდან გაზეთ „კომუნისტის“ redაქციას შეატყობინეს, რომ საამისოდ დაწყებულია მუშაობა და დადგენილების შესაბამისად ისახება კონკრეტული ღონისძიებანი ინიციატივის გასავრცელებლად.

ახლა საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად მოპყვეს სიტყვას საქმე. ჩვენს სახალხო მეურნეობაში და, კერძოდ, მრეწველობაში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას დიდად შეუწყობს ხელს შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერება. საქმე ის არის, რომ ამ მხრივ ჯერჯერობით თავის მოსაწონი არაფერი გვაქვს. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით იმ მუშათა რიცხვი, რომლებმაც გააცდინეს სამუშაო, ძალიან საგრძნობლად არ შემცირებულა. საკმაოდ დიდია ისეთი მუშების რიცხვიც, რომლებიც დაითხოვეს სამუშაოდან გაცდენებისა და სხვა სახეობის დისციპლინის დარღვევისათვის. როგორც ჩანს, იმ პირთა წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების განხორციელება, რომლებსაც არ სურთ გარდაიქმნან, საკმარისი არ არის. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, მაგალითად, გაცდენებისა და სხვა სახეობის დისციპლინის დარღვევისათვის ნაკლებხელფასიან თანამდებობაზე გადაიყვანეს 71 კაცი. შარშან შესაბამის პერიოდში ამ ციფრმა 141 შეადგინა, ესე იგი ორჯერ შემცირდა. ხომ არ ნიშნავს ეს ლმობიერებას იმათ მიმართ, ვისაც არ სურს ფუხი აუწყოს დროის მოთხოვნებს? ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ გასული წლის ზემოხსენებულ პერიოდში შრომის დისციპლინა მრეწველობაში 2927 კაცმა, ხოლო წლეულს — 2777 კაცმა დაარღვია, განსხვავება, როგორც ხედავთ, არ არის მაინცდამაინც ხელშესახები. ამიტომ ამ ფონზე ისეთი ადმინისტრაციული სასჯელის ორჯერ შემცირება, როგორიც არის ნაკლებხელფასიან თანამდებობაზე გადაყვანა, ვერ გამოიყურება დამაჯერებლად.

დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლექტიური გარანტია წინსვლის აუცილებელი საშუალებაა. საჭიროა ერთობლივი თავდადებული მეცადინეობა დასახული მიზნის მისაღწევად. გადასალახავია უამრავი დაბრკოლება იმისთვის, რომ გავიდეთ ხუთწლედით გათვალისწინებულ საშუალო წლიურ მიჯნებზე.

მიმდინარე წლის ოთხ თვეში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა რესპუბლიკაში 6,3 პროცენტით გაიზარდა. წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 104 პროცენტი შეადგინა, რაც 0,3 პუნქტით აღემატება გეგმით გათვალისწინებულს, მაგრამ აქ დასამშვიდებელი არაფერია. საქმეს უნდა შეეხედოთ რეალურად, მიღწევების ცისფერებით გამოხატვის დრო წავიდა. დასახული ამოცანის გადასაწყვეტად წარმოების მოცულობის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 104,6 პროცენტს უნდა მიაღწიოს. სამწუხაროდ, ზოგიერთმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმომ შეძლო თავისი ზემდგომი ორგანოების თანხმობით წინანდელი ვეგმების შემცირება და ამით, ცხადია, ცუდი სამსახური გაუწია რესპუბლიკის ეკონომიკას.

მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობამ, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე გადასვლამ მთლიანად გამოავლინა, ვის რა შეუძლია. მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, მაგალითად, სამეურნეო დამოუკიდებლობა გამოიყენა მთელი 116 მილიონი მანეთით წარმოების მოცულობის შემცირებისათვის. პროდუქციის სახელმწიფო მიღების ორგანომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებაში აპრილში დაიწუნა 273 ათასი მანეთის, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატში — 260 ათასი მანეთის, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში — 99 ათასი მანეთის, „ჩარხმშენებელის“ საწარმოო გაერთიანებაში — 66 ათასი მანეთის პროდუქცია. მართალია, პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინის მაჩვენებელი მიმდინარე წლის პირველ კვარტალთან შედარებით აპრილში 0,1 პუნქტით გაუმჯობესდა, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, ამინდს მაინც არ ქმნის. მომხმარებელს დააკლდა 41,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც გადასული არიან თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე, ბევრმა ვერ უზრუნველყო მოგების ვეგმის შესრულება. იმათ შორის, ვინც ბევრი დაკლო ამ მაჩვენებლის შესრულებას, არიან მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. რაც შეეხება ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაერთიანებას, აქ ზეგეგმით 4,4 მილიონი მანეთი იზარალეს. ვერ შესრულდა მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება და გადაიხარჯა 2585 ათასი მანეთი.

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის წარმატებული დამთავრებისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ნაკისრი ვალდებულებების მნიშვნელოვანწილად შესრულებისათვის მთავარი ყურადღება უნდა დავუთმოთ საწარმოების რიტმულ მუშაობას, სამუშაო დროის ფონდის სწორად გამოყენებას, სოციალური საკითხების მოგვარებას, მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დროულ დანერგვას, პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებას და ხარისხის გაუმჯობესებას, მომუშავეობის რეჟიმის დაცვას, საწარმოთა ორ და სამეცლიან სამუშაოზე გადასვლას. ცხადია, ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ადამიანის ფაქტორის გააქტიურება, შრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარება, მინდობილი საქმისათვის გაძლიერებული პასუხისმგებლობა, სახელმწიფო, შრომისა და საგვეგმო დისციპლინის განმტკიცება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ საფინანსო მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის, მომავალ წელს საწარმოების თვითდაფინანსებასა და თვითანაზღაურებაზე გადასვლისათვის.

ყველამ უნდა დავუფიროთ მხარი სვერდლოვსკის ოლქის ფ. ა. მერკულოვის სახელობის სვევრსკის მილების ქარხნის ბრიგადების ინიციატივას; ფართოდ გავავრცელოთ მორალი დევიზი: „შრომისა და საზოგადოებრივ დისციპლინას — კოლექტიური გარანტია“.

ნგუენ ვან ლინი მოსკოვში

19 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ნგუენ ვან ლინს.

განიხილეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები.

მ. ს. გორბაჩოვმა ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებიც ხორციელდება გარდაქმნის დროს, რათა სწორად იყოს შეხამებული ცენტრისა და გეგმის როლი ადგილებზე დამოუკიდებლობასთან და პასუხისმგებლობასთან. რაც შეეხო აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემებს, აღნიშნა, რომ აქ უნდა გაღრმავდეს სოფლის მშრომელთა ინტერესი მიწისადმი, დიდი საბოლოო შედეგების მიღწევისადმი.

ნგუენ ვან ლინმა ილაპარაკა ვიეტნამის ეკონომიკის მდგომარეობაზე.

აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ვიეტნამის წინაშე დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა ეკონომიკური თანამშრომლობის გარდაქმნას, მისი ეფექტიანობის გაზრდას მოითხოვს.

• • •

ამავე დღეს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის დოკუმენტებს:

ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორონცოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვიეტნამის მხრივ — ამხანაგები ნგუენ ვან ლინი და დო მიოი.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობათა შეთანხმებას 1987-1990 წლებში და 2000 წლამდე პერიოდში მსუბუქი მრეწველობის საქონლის წარმოების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ხელი მოაწერეს აგრეთვე ორი ქვეყნის მთავრობათა გენერალურ შეთანხმებას ჩაის მოყვანისა და გადამუშავებაში თანამშრომლობის, ქიმოსის ზეთის წარმოებაში თანამშრომლობის შესახებ, შეთანხმებას ელექტროტექნიკური მოწყობილობის წარმოებაში თანამშრომლობის თაობაზე და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა დოკუმენტებს.

• • •

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლში სადილი გაუმართეს ნგუენ ვან ლინს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი, ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვორონცოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ე. ა. შევარდნაძე, ვ. მ. ჩებრიკოვი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. ელცინი, ნ. ნ. სლიუნკოვი, ნ. ვ. ტალიზინი, ა. პ. ბირიუკოვი, ა. თ. დობრინინი, ა. ი. ლუკიანოვი, ვ. ა. მედვედევი, ვ. პ. ნიკონოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ი. ვ. კაპიტონოვი და სხვა ოფიციალური პირნი.

სადილის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ამხანაგებმა მ. ს. გორბაჩოვმა და ნგუენ ვან ლინმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით, რომლებიც დამსწრეთ ყურადღებით მოუსმინეს და ტაშით შეხვდნენ.

• • •

ნგუენ ვან ლინი ეწვია მოსკოვის საქალაქო საბჭოს. სტუმრს გააცნეს პრობლემები, რომლებსაც მოსკოველები წყვეტენ გარდაქმნის პერიოდში ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში.

საუბრისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორი სახელმწიფოს დედაქალაქების ტრადიციულ მჭიდრო კავშირურთიერთობას შესაბამება წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებაში, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ყველა დარგის თანამშრომლობის გამდიდრებაში.

• • •

ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იმოგზაურა მოსკოვში, დათვალიერა მასობრივი საბინაო მშენებლობის რაიონები.

• • •

ნგუენ ვან ლინმა გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. გვირგვინით შეამკეს აგრეთვე უცნობი ჯარისკაცის საფლავი კრემლის გალავანთან.

სტუმართან ერთად იყვნენ ვ. ა. მედვედევი და სხვა ოფიციალური პირნი.

• • •

ვიეტნამელი კომუნისტების ხელმძღვანელმა ყვავილებით შეამკო ხო ში მინის მემორიალური დაფა და ხო ში მინის ძეგლის საძირკვლის ქვა. (საკდესი.).

შეხვედრის დროს.

საკდეს-საძინფორმის ტელეფოტო.

მისასალმებელი დეპეშა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა ჰორსტ შმიტს მიულოცა დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტიის თავმჯდომარედ ხელახალი არჩევა.

გისურვებთ თქვენ, ყველა დასავლეთბერლინელ კომუნისტს, ნათქვამია დეპეშაში, წარმატებებს ქალაქის მოსახლეობის საარსებო ინტერესების, სოციალური პროგრესის, მშვიდობისა და ევროპის ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

მიზანია არქეოლოგიური კვლევის განვითარება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევის შემდგომი განვითარებისა და არქეოლოგიური დაწესებულებებისა და ექსპედიციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოვლენილია და იკვლევენ კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ აგრეთვე მთელი წინა აზიისა და ანტიკური სამყაროს ისტორიისათვის. ყოველწლიურად იზრდება არქეოლოგიური კვლევის დაფინანსება, მტკიცდება შესაბამის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

არქეოლოგიური კვლევის შემდგომი განვითარების, გამოვლენილი ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და არქეოლოგიური ექსპედიციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას დაევალა უზრუნველყოს მის სისტემაში არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების რეალიზაცია. მან უნდა შეიმუშაოს რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევის განვითარების 1988-2005 წლების პერსპექტიული გეგმა, აგრეთვე კახეთსა და სვანეთში, ქალაქებში თბილისსა და ქუთაისში ასეთი კვლევის გეგმები ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების გათვალისწინებით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა შეიმუშაოს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების კლდეში გამოკვეთილი კომპლექსების (დავით გარეჯი, უფლისციხე, ვარძია, ვანის ქვაბები და სხვა) და იქ შემორჩენილ უნიკალურ კედლის მოხატულობათა შეწყვეტის გრძელვადიანი პროგრამა. მან აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე მყოფი არქეოლოგიური ექსპედიციები უნდა უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით, წარმართოს აკადემიისა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების შესაბამისი დაწესებულებების არქეოლოგიური კვლევა, სისტემატურად შეაფასოს ექსპედიციები ანალგაზრდა არქეოლოგებთან, უწმინარეს ყოვლისა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლ ებ ი ს კურსდამთავრებულებთან.

ბევრი ღონისძიებაა დასახული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ისტორიისა და კულტურის ძეგლების კომპლექსური შესწავლის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს დროებითი საუწყებათშორისო სამეცნიერო კოლექტივების შექმნის საკითხი. ამასთან დაკავშირებით მას დაეკალა 1987 წლის დამლევამდე შექმნას არქეოლოგიაში ეროკოსმოსური მეთოდების გამოყენების ლაბორატორია და დაკომპლექტოს იგი საჭირო სპეციალისტებით, ძირეულად გაუმჯობესოს და გააფართოოს ძველი სამთამადნო გვირაბების დამუშავების შესწავლა და დაუკავშიროს იგი საქართველოსა და კავკასიის პალეომეტალურგიის წყაროების კვლევის განვითარების გეგმებს, რისთვისაც გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტში შექმნას შესაბამისი ლაბორატორია და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტსა და გეოლოგიის ინსტიტუტთან, არქეოლოგიურ დაწესებულებებთან ერთად გაშალოს საველე გამოკვლევები ამ დარგში.

უნდა გაფართოვდეს მუშაობა იმისთვისაც, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცნიერიო ინფორმაციის ცენტრში შეიქმნას არქეოლოგიის მონაცემების ავტომატიზებული ბანკი, საჭიროების შემთხვევაში კი ამ ცენტრთან შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება იმისათვის, რომ დაჩქარდეს სამრეწველო რეჟიმით არქეოლოგიის შესახებ მონაცემების ავტომატიზებული ბანკის ამოქმედება და მომზადდეს თვითდაფინანსებასა და სამეურნეო ანგარიშზე მისი შემდგომი გადაყვანა.

აგრეთვე უნდა განისაზღვროს არქეოლოგიური დაწესებულებების მიერ საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, აგრეთვე მათში მეთოდების გამოყენების ლაბორატორია და დაკომპლექტოს იგი საჭირო სპეციალისტებით, ძირეულად გაუმჯობესოს და გააფართოოს ძველი სამთამადნო გვირაბების დამუშავების შესწავლა და დაუკავშიროს იგი საქართველოსა და კავკასიის პალეომეტალურგიის წყაროების კვლევის განვითარების გეგმებს, რისთვისაც გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტში შექმნას შესაბამისი ლაბორატორია და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტსა და გეოლოგიის ინსტიტუტთან, არქეოლოგიურ დაწესებულებებთან ერთად გაშალოს საველე გამოკვლევები ამ დარგში.

უნდა გაფართოვდეს მუშაობა იმისთვისაც, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეცნიერიო ინფორმაციის ცენტრში შეიქმნას არქეოლოგიის მონაცემების ავტომატიზებული ბანკი, საჭიროების შემთხვევაში კი ამ ცენტრთან შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანება იმისათვის, რომ დაჩქარდეს სამრეწველო რეჟიმით არქეოლოგიის შესახებ მონაცემების ავტომატიზებული ბანკის ამოქმედება და მომზადდეს თვითდაფინანსებასა და სამეურნეო ანგარიშზე მისი შემდგომი გადაყვანა.

აგრეთვე უნდა განისაზღვროს არქეოლოგიური დაწესებულებების მიერ საბუნებისმეტყველო და ტექნიკის მეცნიერებათა მიღწევებისა და მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა, აგრეთვე მათში

(დასასრული მე-2 გვ.).

საკურორტო ფაფხული—87

მშრომელთა დასვენება სახელმწიფო საზრუნავია

ჩვენი რესპუბლიკა, რომელსაც დიდი რეკრეაციული შესაძლებლობანი აქვს, წლითიწლობით ზრდის თავის საკურორტო პოტენციალს, უკანასკნელი წლების მანძილზე მან განიმტკიცა არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო საკურორტო და ტურისტული ცენტრის რეპუტაცია. მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მომსახურება და დასვენების ორგანიზაცია საქართველოს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი მძლავრი დარგი გახდა. სპეციალისტთა პროგნოზებით წელს რესპუბლიკაში დაისვენებს და ჯანმრთელობას გაიკეთებს ოთხ მილიონზე მეტი კაცი.

როგორ მოემზადნენ ჯანმრთელობის კერები ახალი საკურორტო სეზონისათვის? რა უნდა გაკეთდეს დამსვენებელთა სამედიცინო, საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის?

ეს და სხვა საკითხები იყო წყალტუბოში გამართული სახაფხულო საკურორტო სეზონისათვის მომზადებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თათბირის ყურადღების ცენტრში. თათბირში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, სამინისტროებისა და უწყებების, ტერიტორიული საკურორტო სამმართველოების ხელმძღვანელები, მეცნიერი მედიკოსები, რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერების მთავარი ექიმები, პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები, საშუალო სამედიცინო პერსონალი.

მოისმინეს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის ნ. ბ. შარაშენიძისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველოს უფროსის ზ. ვ. ღუღუნიშვილის ინფორმაციები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატარაშვილი.

(დასასრული მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღწევები დისციპლინამ განაპირობა

თბილისგვირაბმშენის № 5 გვირაბგამყვანთა რაზმის მშენებელთა კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც დ. შამანდი ხელმძღვანელობს, წარმატებით ართმევს თავს ყველა დავალებას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის გაზეთ „კომუნისტის“ redაქციამ მოწინავე პოზიციები დაიმკვიდრა. მშენებლებმა გადაწყვიტეს ვადამდე და ხარისხიანად გადასცენ საექსპლოატაციოდ რკინასარეკინანი საცხოვრებელი კორპუსი ვარკეთილში, ჯავახეთის ქუჩაზე, რომელშიც მეტროპოლიტენის მუშაკები იზეიმებენ ახალმოსახლეობას.

სურათზე: კომპლექსური ბრიგადის წევრები დ. შამანდი (ხელმძღვანელი), მეგობარი ი. ჭალიმაძე და მეკომპრესორე ვ. კოდუა.

ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

19 მაისს გამართულ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს მუშაობისა და აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი. ითქვა, რომ დიდ მუშაობას ეწევიან სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ საქართველოს სსრ სახაგრომრეწვი, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტიქიით მიყენებული ზარალი მნიშვნელოვნად ნაკლები იქნებოდა, ყველგან რომ გამოეჩინათ მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულობა, დროზე ეიმოქმედებინათ სეტყვისაგან დაცვის სამსახური. სეტყვის ექსტრემალურ პირობებში არაოპერატიულობისათვის საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოსა და სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ცნეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ შეიმუშავა დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აღდგენისა და პროდუქციის დაგვიანებული წარმოების უზრუნველყოფის ღონისძიებანი და მათი განხორციელებისათვის პასუხისმგებლობა დააკისრა სტიქიით დაზარალებული რაიონების პარტიის რაიკომების პირველ მდივნებსა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეებს.

განიხილეს პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამ მიმართულებით გაწეული მუშაობა არასაკმარისად ცნო და გაერთიანების ხელმძღვანელობასა და პარტიულ კომიტეტს დაავალა განახორციელონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის წარმოების ყველა რეზერვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გადიდების ქმედითი ღონისძიებანი, ყოველნაირად გააძლიერონ ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, პრინციპული შეფასება მისცენ თვითდამშვიდების, სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობისადმი შემრიგებლური დამოკიდებულების ფაქტებს, მიაღწიონ დიდ საბოლოო შედეგებს.

განიხილა რა პარტიის გორის რაიკომის მუშაობის გარდაქმნაში სერიოზული ნაკლოვანებების საკითხი, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის მის სამქმიანობა არადამაკმაყოფილებლად ცნო. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

განიხილა რა გაზეთ „სელსკაია ჟიზნში“ გამოქვეყნებული სტატიის — „ქილა ნისლში“ — საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გაზეთის კრიტიკული გამოსვლა ნილბოსტეროულ კონსერვების წარმოებაში და ამ კონსერვებზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში არსებული ნაკლოვანებების გამო დროულად და სწორად ცნო. საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ხელმძღვანელობის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საკმარისი არ არის ღონისძიებანი, რომლებსაც რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის მუშაობის ეფექტიანობის გადიდებისათვის ახორციელებს.

სახაგრომრეწვის კოლეგიას წინადადება მიეცა განიხილოს სტატია „ქილა ნისლში“ და პრინციპული შეფასება მისცეს საკონსერვო მრეწველობაში შექმნილ გითარებას, პასუხი აგებინოს რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და მეურნეობების ხელმძღვანელებს, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს გადამმუშავებელი მრეწველობისათვის ასორტიმენტით გათვალისწინებული ნედლეულის მიწოდება, აგრეთვე საკონსერვო ქარხნების ხელმძღვანელებს, რომლებმაც მდარე ხარისხის პროდუქცია გამოუშვეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება საკვების დამზადების, პირუტყვის 1987-88 წლის გამოზამთრებისათვის საკვების წლინახევრის მარაგის უზრუნველსაყოფად სამუშაოთა ორგანიზებული წარმართვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ, რომლის შინაარსი გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებანი სამრეწველო გაერთიანებების, საწარმოების (ფილიალების) რაციონალური განლაგებისა და მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის შრომითი რესურსების გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკაში საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუჯობესების ღონისძიებათა შ

მიზანია არქეოლოგიური კვლევის განვითარება

(დასასრული)

შესაბამისი ლაბორატორიების შექმნის ოპტიმალური სქემა, განხორციელდეს ახლად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამასთან დაკავშირებით 1987 წლის დამლევამდე რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უნდა წარუდგინოს კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ას და აჭარის ას რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სხვა რეგიონებში შეიქმნას არქეოლოგიური მასალების ფონდსაცავები. მას დაეგალა აგრეთვე გამოყოს სახსრები იმისათვის, რომ დამთავრდეს სამუშაოები, რომლებიც წარმოებს შესტიის არქეოლოგიურ ბაზამდე წყალსადენისა და გასათბობი ქსელის გაყვანისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს სტიქიის შედეგებით მისთვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრის სამუშაოების დფინანსება.

1988 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უნდა წარუდგინოს კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოსთან, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებული წინადადებანი იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ას და აჭარის ას რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, სხვა რეგიონებში შეიქმნას არქეოლოგიური მასალების ფონდსაცავები. მას დაეგალა აგრეთვე გამოყოს სახსრები იმისათვის, რომ დამთავრდეს სამუშაოები, რომლებიც წარმოებს შესტიის არქეოლოგიურ ბაზამდე წყალსადენისა და გასათბობი ქსელის გაყვანისათვის, აგრეთვე უზრუნველყოს სტიქიის შედეგებით მისთვის მიყენებული ზარალის აღმოფხვრის სამუშაოების დფინანსება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაეკალა გამოყოს ლიმიტები საქართველოს ს. ნ. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდსაცავის კორპუსის დაპროექტებისათვის მიმდინარე ხუთწლედში მისი მშენებლობის დაწყების გათვალისწინებით, განიხილოს საკითხი და ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარადგინოს წინადადება იმის თაობაზე, რომ დაპროექტდეს და ქალაქ მცხეთაში აშენდეს არქეოლოგიური მასალების მიწისქვეშა ფონდსაცავი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას 1988-89 წლებში გამოეყოს სახსრები გამოთვლითი ტექნიკის შესაძენად. დაფინანსდეს ითვალისწინებს აგრეთვე, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას 1988 წელს საგამომცემლო ლიმიტი გაეზარდოს 380 ნაბეჭდი თაბახით, აქედან ჟურნალ „ფაცნეს“ არქეოლოგიური გამოკვლევებისათვის ორი დამატების გამოსაშვებად გაუდიდდეს 15-20 ნაბეჭდი თაბახით, კახეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას გამოეყოს სატრანსპორტო საშუალებანი, ლიმიტი ინვენტარის შესაძენად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას კი — კაპიტალდაბანდებანი წინათ შეძენილი 10 ასაწყობი სახლის დამონტაჟებისათვის, სადაც შეიქმნება არქეოლოგიური ექსპედიციების ბაზები.

არქეოლოგიური კვლევის დაფინანსების გადიდების, არქეოლოგიური დაწესებულებებისა და ექსპედიციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მიზნით კონკრეტული დავალებანი მიეცათ შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს ალკ ცენტრალურ კომიტეტს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარ სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს დაეკალა განახორციელოს გამოვლენილი ძეგლების, მათ შორის კედლის მოხატულობათა რესტავრაციისა და კონსერვაციის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ შეიქმნას მონუმენტური ფერწერის კვლევის, ფიქსაციისა და კონსერვაციის და ხელოვნების საგნების რესტავრაციის ცენტრი.

იმისათვის, რომ კიდევ უფრო გააქტიურდეს საზოგადოებრიობის მონაწილეობა არქეოლოგიის ძეგლების შესწავლასა და დაცვაში, მიზანშეწონილად არის მიჩნეული შეიქმნას საქართველოს არქეოლოგიური ფონდი საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საზოგადოებების ზეგეგმითი დანაგროვის, აგრეთვე მოქალაქეთა პირადი დანაზოგის მისაზიდად. ამ ფონდის სახსრების მიზნობრივი გამოყენების უფლებები და მოვალეობანი დაეკისრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას საქართველოს არქეოლოგიური კომისიის წარდგენებით.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ას და აჭარის ას რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ არქეოლოგიურ ექსპედიციებს საქართველოს არქეოლოგიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა გამოვლენაში, კვლევასა და დაცვაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქტიურად შეუწყონ ხელი რესპუბლიკაში კვლევის გაფართოების მიზნით საქართველოს არქეოლოგიური ფონდის შექმნას.

(საქინფორმი).



ახალმოსაწყლეობა გადაიხადა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკურმა სეფსისსაწინააღმდეგო ცენტრმ.

ახალ შენობაში ერთდროულად კვალიფიციური დახმარების მიღება შეუძლია ორას ავადმყოფს. უახლესი საბჭოური და იმპორტული მოწყობილობით არის აღჭურვილი კაბინეტები, პალატები, საოპერაციო ოთახები.

ცენტრს სათავეში უდგას თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, კლინიცისტი ვახტანგ ბოჭორიშვილი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგე, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. ქვეყანაში პირველი ამგვარი სამკურნალო დაწესებულების შექმნისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

ცენტრში ხორციელდება მძიმე დაავადების კომპლექსური კვლევა და ოპერაციული მკურნალობა, რომელსაც ახორციელებს მაღალკვალიფიციურ მედიკოსთა დიდი რაზმი.

ცენტრის ბაზაზე დღეს გაიმართება სეფსისის საკითხისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა და საზღვარგარეთელი სპეციალისტები. ავადმყოფობაზე შეტევა გრძელდება.

სურათებზე: მიმდინარეობს ოპერაცია; სეფსისსაწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ბოჭორიშვილი ავადმყოფთა გახინჯვის დროს.

მ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დასვენება სახელმწიფო საზრუნავია

(დასასრული)

თათბირი მიმდინარეობდა წყალტუბოს ახალ კულტურის სასახლეში. ეს ნათელი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით ნაგები კეთილმოწყობილი შენობა, ისევე როგორც კურორტის უკანასკნელი წლების სხვა ახალშენებლობანი, მოწმობს, რომ ამ საკავშირო ჯანმრთელობის კერის ხელმძღვანელები, ყველა მუშაკი დაინტერესებულ უყურადღებას იჩენენ მისი კეთილმოწყობისადმი, დიდად ზრუნავენ დამსვენებელთა ყოფა-ცხოვრებისა და დასვენებისათვის, და შეშფოთებენი არ არის, რომ კურორტ წყალტუბოს მუშაკთა მისამართით ბევრი კეთილი სიტყვა ითქვა თათბირის ტრიბუნიდან.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ იქ, სადაც ხელმძღვანელი სიმაღლეზეა, გული შესტკივა საქმისათვის, ყველაზე რთულ საკითხებსაც კი ოპერატიულად წყვეტენ. ეს დადამტკიცა, მაგალითად, ა. ფ. რამიშვილმა — წყალტუბოს ერთ-ერთი სანატორიუმის მთავარმა ექიმმა. ახალი ხელმძღვანელის მოსვლის შემდეგ აქ ყველაფერი შეიცვალა: კვების, სამედიცინო დახმარების, სხვადასხვა სახეობათა მომსახურების ხარისხი. მთელი თავისი საქმიანობით, მინდობილი უბნისადმი დამოკიდებულებით რამიშვილმა დაამტკიცა, რომ ადამიანის ფაქტორი ვერ ამოქმედდება, თუ ყველი რანგის ხელმძღვანელს, ყოველი რგოლის მუშაკს არა აქვს დიდი კომპეტენტურობა, არ ახასიათებს პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება.

დღეს ჯანმრთელობის კერის, ტურისტული დაწესებულების, საექსკურსიო ორგანიზაციის თითეულმა ხელმძღვანელმა უნდა ჰკითხოს თავის თავს, ასრულებს თუ არა პარტიის მითითებებს საკურორტო საქმის ძირეული გაუმჯობესების დარგში. სოციალური სფეროს ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანზე ცვლილებები უნდა იგრძნობოდეს ყოველდღიურად. მიმდინარე წელი ხომ განსაკუთრებული ია — ეს არის დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელი. მიმდინარეობს გარდაქმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და, ბუნებრივია, იგი ეხება კურორტების მუშაობას. ყველამ, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს რესპუბლიკის საკურორტო ინდუსტრიასთან, სერიოზული გამოცდა უნდა ჩააბაროს. ჯერჯერობით კი დრო მიდის, ხოლო მდგომარეობა მშრომელთა საკურორტო მომსახურების დარგში გამოსასწორებელია.

საკურორტო სეზონის ორგანიზაცია, ხაზგასმით აღინიშნა გამოსვლებში, მოითხოვს არა მარტო სამინისტროებისა და უწყებების, არამედ საკურორტო ზონის მთელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ძალისხმევას. ათასობით საბჭოთა ადამიანსა და საზღვარგარეთელ ტურისტს ხომ საქართველოს, მისი ხალხის კულტურის შესახებ შთაბეჭდილებანი ექმნებათ რესპუბლიკის ჯანმრთელობის კერებში დასვენებისა და მკურნალობის შედეგად.

საკურორტო საქმეში წვრილმანები არ არის. არაფერმა არ უნდა მიაყენოს ჩრდილი ადამიანთა სრულფასოვან დასვენებას. დროა, ბოლოს და ბოლოს, ზუსტად მოვიფიქროთ და მოვაწყოთ რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის, სამოქალაქო ავიაციის, კავშირგაბმულობის მუშობა. ისე უნდა მოვაგვაროთ მატარებლისა თუ თვითმფრინავის ბილეთების წინასწარი გაყიდვა, რომ დამსვენებლებს თავიდან ავაცილოთ ნერვიულობა და გრძელ რიგებში დგომა.

მეტად ნელა გარდაქმნიან თავიანთ საქმიანობას კურორტებზე ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებანი. ეს სფერო რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ არის რესპუბლიკის კურორტებზე საქონლებრუნვისა და მომსახურების ზრდის მნიშვნელოვანი გამოუყენებელი რეზერვები. გამოანგაიშება მოწმობს, რომ შვებულებების პერიოდისათვის სპეციალურად გადადებული ფულის თანხა, რომელიც მშრომელებს აქვთ, აღემატება მილიარდ მანეთს. ეს კი მთლიანად რესპუბლიკის საცალო საქონელბრუნვის წლიური მოცულობის დაახლოებით 20 პროცენტია.

საქონელბრუნვის განვითარებას აყოვნებს შეფერხებები ყოველდღიური მოთხოვნის ნაწარმის მიწოდებაში, მომსახურების ვიწრო ასორტიმენტი. ითქვა, რომ ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროები სუსტად ემზადებიან საკურორტო სეზონისათვის, არ სწავლობენ დამსვენებელთა მოთხოვნილებებს, ცუდად ფლობენ ვითარებას, არ იყენებენ დამსვენებელთათვის საჭირო რაოდენობის საქონლის მიყიდვის ყველა შესაძლებლობას.

შეშფოთებას იწვევს კურორტების ხილბანსტენელთან მომარაგების მდგომარეობა. წარმოიქმნება პარადოქსული სიტუაცია: ხილსა და ბოსტნეულს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბლომად იწევენ, დამსვენებელთა სუფრაზე კი ეს პროდუქტია ძირითადად კერძო პირებისაგან ხვდება. სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ისინი თითქმის არ არის. და ამაში ბრალი მიუძღვით არა მარტო ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს, არამედ ზოგიერთი ჯანმრთელობის კერის ხელმძღვანელებსაც, რომლებიც მოუქნელად და უინიციატივოდ მუშაობენ. მაგალითად, ბორჯომის საკურორტო ზონაში არ ამზადებენ მაწონს, კეფირს, ხაჭოს. ეს კი კვების ძირითადი პროდუქტებია ეუკ-ნაწილავით დაავადებულთათვის. შარშან ბორჯომში არ გამოუყვიათ საკმაო რაოდენობის ხაჭი, მაგრამ არავის არ აუტეხია განგაში, არ უფიქია, თუ როგორ შეეწყვეტინა პრობლემის სიმწვავე ადგილობრივი ძალებით.

უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ვაჭრობის არაკეთილსინდისიერ მუშაკთა წინააღმდეგ, რომელთა მიზეზითაც საჭირო რაოდენობით გამოყოფილი საქონელი ხშირად ვერ აღწევს მომხმარებლამდე.

სავაჭრო ქსელში დეფიციტის შემცირების რეალური გზაა მომსახურების პროგრესული ფორმების დანერგვა. და მუშაობის ეს მიმართულება ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა თავიანთ მუდმივ კონტროლს უნდა დაუქვემდებარონ. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საზოგადოებრივ კვებასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში კოოპერატივების შექმნასა და ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის განვითარებას. ამის შესაძლებლობანი რესპუბლიკის კურორტებზე არის.

თათბირზე გამოითქვა საყვედური დამსვენებელთა საკურორტო მომსახურების გამო. მაგალითად, შარშან რესპუბლიკის მხატვრულმა კოლექტივებმა 800 კონცერტი გამართეს კურორტებზე. ამასთან 600 კონცერტი მოეწყო წყალტუბოსა და ბორჯომში. შემთხვევითი არ არის, რომ ბევრ კურორტს, განსაკუთრებით ადგილობრივ კურორტებს, საერთოდ არ უნახავთ არც ერთი მაღალპროფესიული მხატვრული კოლექტივი. არადა, დამსვენებელს ესთეტიკური შთაბეჭდილებანი ექმნება საეჭვო საშემსრულებლო დონის მხატვრული ბრიგადების გაცნობით. კურორტებს კვლავ ამარაგებენ ძველი, ხშირად კი დაბალი იდეურ-მხატვრული დონის ფილმებით. აქ არ ეწყობა დამსვენებლებთან ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი შეხვედრები.

ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე დგას ამოცანა ყველაფერი იღონონ კურორტებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის, გააძლიერონ ბრძოლა საგზაო მოძრაობის წესების, საბჭოთა ვაჭრობის წესების დამრღვევთა, ალკოჰოლიზმის, ლოთობის, პროსტიტუციის წინააღმდეგ.

თათბირმა დასახა პრობლემათა ფართო წრე სამკურნალო-პროფილაქტიკური მუშაობის, საკურორტო სერვისის შემდგომი სრულყოფის, ექიმთა კადრებით ჯანმრთელობის კერების უზრუნველყოფის დარგში. გამოსვლებში აღინიშნა, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ შშრომელთა საკურორტო მომსახურების შემდგომი სრულყოფის საკითხების გადაწყვეტაში, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კურორტების კეთილმოწყობას, საკურორტო მუშაკთა კადრების სწავლებას. ისინი უფრო საგნობრივად უნდა ეწეოდნენ ადმშრდელობის მუშაობას ჯანმრთელობის კერების პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, უფრო ფართოდ აბამდნენ ახალგაზრდობას მომსახურების სფეროში.

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე აღინიშნა, დიდი ხანია დადგა დრო ყურადღებით შევხედოთ, თუ ვინ და როგორ მუშაობს საბჭოთა ადამიანების დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მოვაწყოთ კადრების ფართო, საჯარო პრინციპული ატესტაცია, განვახორციელოთ თანამდებობის საკონკურსო დაკავება. ამ სფეროს მუშაკები ხომ გარკვეულწილად რესპუბლიკის „სახეა“ მრავალი ათასი ჩვენი სტუმრის თვალში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ გ. წ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები რ. ა. გოგლიძე, ე. ე. კაპბა, გ. გ. ჩოგოვაძე.

(საქინფორმი).

ჟურნალისტთა კონკურსი

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ და სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ გადაწყვიტეს გამართონ პრესაში მეცხოველეობის საამედო საკვების ბაზის უზრუნველყოფის საუკეთესო გაშუქების საკავშირო კონკურსი დევიზით „საკვებს — ჩინებული ხარისხი“.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება: საველე და მდელო-საძოვრული საკვებწარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე ჩინებული ხარისხის უხეში და წვნიანი საკვების დამზადების არსებითი ზრდის მიღწევისათვის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგების ფართო გაშუქება; შრომითი კოლექტივების, ინიციატივიანი მეურნეობის მუშაკების, წარმოების ოსტატების მოწინავე გამოცდილების ქმედითი პროპაგანდა; არსებულ შესაძლებლობათა გამოყენების საშუალებათა ძებნა; ადგილობრივ ენერგეტიკული ბაზის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის, ბიოლოგიური ფაქტორის, ბიოტექნოლოგიის, ბიოქიმიის, ბიოფიზიკის, ბიოლოგიის, ბიოინჟინერიის, ბიოინფორმაციის, ბიოტექნიკის, ბიოტექნოლოგიის, ბიოტექნიკის, ბიოტექნოლოგიის, ბიოტექნიკის, ბიოტექნოლოგი

ᲘᲒᲔᲑᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

რაიონული გაზეთის „განახლებული აბაშის“ გამოსვლა მწვავე და პრინციპული იყო: სავარგულების დამუშავების ხარისხის შემოწმების მიზნით მოწყობილი დათვალიერება-რეიდის მასალები პირუთვნელად ამხელდნენ არსებულ ნაკლოვანებებს, იმ საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელებისა და აგროსპეციალისტების უპასუხისმგებლობა-უგერგილობას, რომელთა მოუქნელი მუშაობის გამო ნათესები ცუდ მდგომარეობაში იყო.

გაზეთის ეს საჭირო და დროული გამოსვლა განიხილა პარტიის რაიკომის ბიურომ. წერილში გაკრიტიკებულ საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები და აგროსპეციალისტები გამოვლენილ ნაკლოვანებებისათვის მკაცრად დაისაჯნენ, ხოლო ერთ-ერთი მათგანი — მარნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე თანამდებობიდან განთავისუფლდა. და, რაც მთავარია, დაისახა მდგომარეობის ოპერატიული გამოსწორების გზები...

„განახლებული აბაშის“ რედაქცია (რედაქტორი — გ. გვაზავა) ცდილობს ფეხი აუწყოს დროის მოთხოვნებს, ოპერატიულად და საფუძვლიანად გააშუქოს რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისათვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი, დაეხმაროს მათ სიძნელეთა დაძლევაში, უკეთ მუშაობაში.

ამ მიზნით იგი კარგად იყენებს პუბლიცისტიკის სხვადასხვა ჟანრს, იჩენს ხასიკეთო ინიციატივას, განაზოგადებს და საყოველთაო კეთილისებად ხდის მოწინავეთა გამოცდილებას, გაბედულად ამხელს ნაკლს, ბოლომდე აკონტროლებს როგორც საკუთარ კრიტიკულ პუბლიკაციებში აღნიშნული ნაკლოვანებების, ისე ცალკეულ საზოგადოებრივ მეურნეობათა და ორგანიზაციათა მიმართ პარტიის რაიკომის პლენუმებსა თუ რაისაბჭოს სესიებზე გამოთქმული შენიშვნების გამოსწორებისათვის ადგილებზე მიმდინარე მუშაობას. ამას ემსახურება, კერძოდ, რუბრიკა „პლენუმზე, სესიაზე ითქვა, რა კეთდება?“. როგორც წესი, ამ რუბრიკით დაბეჭდილი არც ერთი მასალა ურეაგირებად არ რჩება, რაც, ცხადია, წინსვლის ხელშემშლელი მიზეზების გამოსწორების კარგი საშუალებაა.

წინსვლის რეზერვების ძიება და ამოქმედება „განახლებული აბაშის“ მუდმივი ყურადღების ცენტრშია. იგი ეფექტიანად ეხმარება რაიონულ პარტორგანიზაციას სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში, რისთვისაც რეგულარულად ბეჭდავს მასალებს მუდმივი რუბრიკებით: „სასურსათო პროგრამა — საყოველთაო-სახალხო საქმე“, „აგროსამრეწველო კომპლექსი: შედეგები და პერსპექტივები“, „მიწათმოქმედების მაღალი კულტურა — წინსვლის ბერკეტი“, „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამა — დროის მოთხოვნა“ და სხვ. ამასთანავე გაზეთის სისტემატური ყურადღების ცენტრშია დისციპლინის განმტკიცების, ყველგან და ყველფერში სათანადო წესრიგის დამყარებისათვის, ნეგატიური მოვლენების, უშრომელი შემოსავლის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის, მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები...

ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ „განახლებული აბაშის“ კოლექტივი კარგად არომეულ თავს საპატიო და პასუხსაგებ მოვალეობას. ამაში კი მას ძალზე ეხმარება ის სისტემატური და სწორი, ყოველგვარ წვრილმან მეურვეობას მოკლებული ხელმძღვანელობა და დახმარება, რომელსაც იგი გამუდმებით გრძნობს პარტიის რაიკომის მხრივ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ: ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲐ?

საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოეთში, ამჟამად სასიკეთო ცვლილებები ხდება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ დარგსა თუ სფეროში. ამ საქმეში კი, ცხადია, ძალზე დიდია ადგილობრივი პრესის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მხარს უნდა უსწორებდეს დღევანდელობას, ყოველდღიურად უწყობდეს ხელს გარდაქმნის აუცილებელი პროცესის დაჩქარებას და თავადაც გამუდმებით ზრუნავდეს სარედაქციო მუშაობის გარდაქმნა-დახვეწისათვის.

დღევანდელ მასალაში ამ მხრივ ჩვენი საქალაქო და რაიონული გაზეთებისათვის მეტ-ნაკლებად ნიშანდობლივ რამდენიმე არსებითი ხასიათის ხარვეზს შევეხებით.

ამჟამად ყველგან მიმდინარეობს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, საფუძველი ეყრება წლევანდელი წლის მოსავალს. ეს კამპანია მუდამ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ახლანდელი მაინც განსაკუთრებულია, რადგან სტიქიურმა უბედურებამ ძალზე დააზარალა ბევრი რაიონის სახალხო მეურნეობა, და განა სხვა რა უნდა იყოს ამ დროს რაიონული გაზეთისათვის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ვთქვათ, რეგიონის წინაშე მდგომი პრობლემების, სიძნელეებისა და ნაკლოვანებების თაობაზე საფუძვლიანი, საქმიანი მსჯელობა, მათი გადაჭრის, შრომითი კოლექტივების მუშაობის არსებითი გაუმჯობესების, შემდგომი წინსვლის კონკრეტული გზებისა და საშუალებების ძიება?

და მით უფრო გასაკვირია, რომ ზოგიერთი რაიონული გაზეთი ამის ნაცვლად სისტემატურად ბეჭდავს საკდესისა თუ საქონფორმის მასალებს ისეთ თემებზე, რომლებიც არავფერი აქვთ საერთო აქაური მშრომელების საქმიანობასთან და ამდენად ბევრს არც არაფერს მატებს მათ.

ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ზაურის რაიონული გაზეთი „ლენინური გზით“ (რედაქტორი ი. ტოლიაშვილი). რა მასალას არ ნახავთ მის ერთ-ერთ, თუნდაც 5 მარტის ნომერში: დაბეჭდილია საკდესის დიდწარწერებიანი ილუსტრაციები მოლდაველ სელექციონერებზე, მოსკოვის, ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის მშრომელებზე, საფოსტო მარკებზე, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნისა და მირზა გელოვანის საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი საქონფორმის მასალები და სხვ.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ლაგოდეხის რაიონულ გაზეთშიც „გამარჯვების დროშა“ (რედაქტორი — ვ. მუშლაძე). მას არც ორჯონიკიძის რაიგაზეთი „ლენინის დროშიი“ (რედაქტორი — ე. ხიჯაკაძე) და სხვები ჩამორჩებიან, რომლებიც ხშირად ასევე განყენებული თემებისა და უცხო მასალებისთვის უსარგებლოდ ფლანგავენ საგაზეთო ფართობს. ეს ეხება, კერძოდ, წულუკიძის ქანარბრივი თუ ტერიტორიული მრავალფეროვნება, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეს საქმის საზიანოდ არ უნდა კეთდებოდეს, ყოველი საგაზეთო მასალა უწინარესად რაიონის შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას, საქმის წინსვლას უნდა ემსახურებოდეს.

კიდევ ერთი საკითხი. ამ ბოლო ხანს ადგილობრივ პრესაში მომრავლდა განცხადებები, რეკლამები და მათი მსგავსი ინფორმაციული ხასიათის სხვა მასალები. ამაში, თავისთავად, ცუდი არაფერია. პირიქით, ეს საჭიროც არის, თუნდაც რედაქციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი რენტაბელურობისათვის. მაგრამ არანაკლებ საჭიროა ისიც, რომ ასეთი მასალების პუბლიკაციისას ჟურნალისტებმა გამოიჩინონ მეტი გამომგონებლობა, გემოვნება, თავი დააღწიონ შაბლონს, დაიცვან ზომიერების გრძნობა.

ეს ეხება, კერძოდ, წულუკიძის ამ ბოლო წლების მანძილზე ფაქტობრივად არ ყოფილა „განახლებული აბაშის“ არც ერთი სასაკეთო წამოწყება თუ გაბედული კრიტიკული გამოსვლა, პარტიის რაიკომის ოპერატიული, დადებითი გამოხმაურება რომ არ მოჰყოლოდეს. გაზეთის მუშაობის საკითხები, მისი ცალკეული პუბლიკაციები განიხილება პარტიის რაიკომის პლენუმებზე, ბიუროს სხდომებზე, თათბირებზე.

ამის ნათელი ნიმუშია თუნდაც წერილის დასაწყისში აღნიშნული ფაქტი. და აი, კიდევ ერთი ბოლოდროინდელი მაგალითი: მარტის მიწურულს პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა გაზეთის პუბლიკაციაში „რატომ ჩავშალეთ მეცადინეობა?“ მოყვანილი ფაქტები და პარტიული სწავლებისა და მშრომელთა ეკონომიკური განათლების ქსელში არსებული ნაკლოვანებებისათვის მკაცრი სასჯელები დაადო წერილში გაკრიტიკებული საწარმოებისა თუ საზოგადოებრივი მეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს, პროპაგანდისტებს.

თავის ბეჭდვითს ორგანოს ყურადღებას არ აკლებს, მის კრიტიკულ გამოსვლებზე ოპერატიულად რეაგირებს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოც. ამას წინათ რაიაღმასკომის სხდომამ იმსჯელა „განახლებული აბაშის“ კრიტიკულ პუბლიკაციაში „ფრთხილად, ბავშვებია!“ აღნიშნულ ფაქტებზე, რომლებიც ამხელდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა და საშუალო სკოლებში ბავშვთა კვებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, მხარი დაუჭირა გაზეთის საჭირო გამოსვლას, მკაცრად დასჯა ბრალეულნი და „დასახა მდგომარეობის ოპერატიული გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი.

ასეთი სწორი ხელმძღვანელობა და მხარდაჭერა კი, რა თქმა უნდა, ძალზე ეხმარება „განახლებული აბაშის“ კოლექტივს, ზრდის მის ინიციატივას, მებრძოლურობას: ყოველი გაზეთის წარმატებული მუშაობის ერთ-ერთი საყეთესო საწინდარი ხომ მისდამი სწორი პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარებაა, ხოლო ეს, თავის მხრივ, საერთო საქმის წინსვლას უწყობს ხელს.

რ. რუსია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲨᲘ

ბუდაპეშტი. არქიტექტურა და ქალაქთმშენებლობა საბჭოთა კავშირში — ასე ეწოდება უნგრეთის დედაქალაქში გახსნილ გამოფენას. იგი ეწყობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ფარგლებში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 150 ფოტოსურათი და მაკეტი, რომლებიც ასახავენ ბოლო პერიოდში საბჭოთა ქალაქთმშენებლობის განვითარებას და მის შემდგომ გეგმებს. გამოფენის დამთვალიერებლებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ საბჭოთა არქიტექტორების ორიგინალურ გადაწყვეტებს, რომლებიც გამოყენებული იყო ახალი ქალაქების მშენებლობაში. უნგრეთის დედაქალაქის მცხოვრებლებისა და სტუმრების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფოტოდოკუმენტები, რომლებიც დამთვალიერებლებს აცნობენ, როგორ იგება თანამედროვე შენობები, როგორ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის დიდი სამრეწველო ქალაქის ისტორიულ ცენტრებში მდებარე არქიტექტურული ძეგლების რესტავრაცია.

ᲤᲝᲢᲝᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

სოციალისტური ვიეტნამის მანქანათმშენებლები ცდილობენ რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილება საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებზე. ახალი მოდელის ვენტილატორები აითვისა თხაბინის პროვინციის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ. საწარმოს განზრახული აქვს წელს მნიშვნელოვნად გაზარდოს მათი გამოშვება.

სურათზე: მზა პროდუქციის შემოწმება.

ᲕᲘᲐ — ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ

ნიუ-იორკი. როგორი იყო ბენჯამენ ლინდერი? სამწუხაროდ, მას პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ თუ მისი კეთილშობილური სამქეობით ვიმსჯელებთ, ეს იყო კაცი, რომელიც ყოველთვის მზად იყო დახმარებისათვის, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე და ეწინააღმდეგებოდა ომს“. ასე დაიწყო საუბარი საზოგადოებრივი ორგანიზაციის — „მშვიდობის მხარდამჭერ მოწმეთა“ რეგიონალურ კოორდინატორთან ბეტი უოლკოტთან. საუბარი ეხებოდა გასულ თვეში ნიკარაგუაში მომხდარ ტრაგიკულ ამბებს, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების დაქირავებულებმა — კონტრრევოლუციონერებმა უწყალოდ მოკლეს ახალგაზრდა ამერიკელი. მოკლეს იმიტომ, რომ იგი ახალი ცხოვრების აშენებაში ეხმარებოდა ნიკარაგუელებს.

„ლინდერი, — თქვა შემდეგ ბ. უოლკოტმა, — გულგრილად ვერ უყურებდა სხვა ადამიანთა უბედურებას. ნიკარაგუაში მისი მოგზაურობა, — თქვა მან, — ეს იყო თავისებური პროტესტი ცენტრალურ ამერიკაში რეიგანის ადმინისტრაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც სურს დაამხოს სანდინისტური მთავრობა“. სწორედ ამ მიზნებით იყენებს იგი კონტრრევოლუციონერთა ბანდებს, რომლებმაც იმსხვერპლეს ახალგაზრდა ამერიკელი ინჟინერი.

ბეტი უოლკოტს სრულიად არ ეპარება ეჭვი იმის თაობაზე, თუ ვინ არის დამნაშავე ლინდერის სიკვდილში. „ისინი, — თქვა მან, — ვინც შეკრიბა კონტრრევოლუციონერი ბანდიტები, მოამზადა ისინი, მისცა მათ იარაღი და ფული. პასუხი ერთმნიშვნელოვანია — ეს არის რეიგანის ადმინისტრაცია“.

ᲜᲘᲙᲐᲠᲐ�გᲣᲐᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

▼▼

ლინდერი მარტო როდი აცხადებდა პროტესტს ნიკარაგუის წინააღმდეგ მიმდინარე ომისადმი. მრავალი ამერიკელი და სხვა სახელმწიფოთა მოქმედნი, თქვა ბ. უოლკოტმა, სიღატაკის ლიკვიდაციის, მეურნეობის მოგვარების საქმეში რეალური დახმარები უწევენ სოლიდარობას ნიკარაგუელ ხალხს, მის ბრძოლას მომავლისათვის. ზოგიერთი მათგანი კონტრრევოლუციონერთა ხელით იღუპება, მაგრამ ანგარიშსწორებით, — აღნიშნა მან, — ინტერნაციონალისტებს ვერ დაამშიტებენ. ამ ადამიანებს სულ უფრო მეტად სწამთ, რომ კეთილშობილურ და აუცილებელ მისიას ასრულებენ“.

უკვე მოვაწყვეთ ლინდერის მკვლელობასთან დაკავშირებით ცენტრალურ ამერიკაში ვაშინგტონის პოლიტიკის წინააღმდეგ რამდენიმე საპროტესტო გამოსვლა. და არ ვაპირებთ დავჯერდეთ ამას, თქვა ბ. უოლკოტმა. „ლინდერის სახელი არ უნდა მიეცეს და არც მიეცემა დავიწყებას. მისი ცხოვრება სინდისს უღვიძებს ადამიანებს, აცნობებს სიმართლეს იმის შესახებ, თუ რა ხდება ნიკარაგუაში, და როგორია რეგანის ადმინისტრაციის ნამდვილი პოლიტიკა ამ ქვეყნის მიმართ“, — ხაზგასმით აღნიშნა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ.

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲚᲐᲖᲐᲠᲔᲕᲘ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡᲐᲨᲘ

● ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ჰანოი. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების საყოველთაო არჩევნებმა ცხადყო მასების პოლიტიკური აქტიურობისა და შეგნების გაზრდილი დონე, მათი ნდობა ვიეტნამის „ომპარტიის კულისადმი, რომელიც ვიეტნამის საზოგადოების ძირეულ განახლებას ითვალისწინებს. ეს ნათქვამია არჩევნების ცენტრალური საბჭოს აქ გამოქვეყნებულ ცნობაში.

არჩევნებში მონაწილეობდა აღრიცხული ამომრჩევლების 98,75 პროცენტი. მათ თავიანთი ხმა მისცეს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გაიზარდა ქალების, ახალგაზრდობის, რესპუბლიკის მცირე ეროვნებების წარმომადგენლობა. ახლანდელი არჩევნების თავისებურება გახდა დეპუტატთა პენშმარიტად დემოკრატიული არჩევნების შესაძლებლობათა გაფართოება. რესპუბლიკის საზოგადოებრივი ფრონტის ორგანიზაციების მიერ კენჭისყრის სიებში შეყვანილი 826 კანდიდატიდან არჩეულია 496 დეპუტატი. მათ დიდი მუშაობა ელით, რათა გაზარდონ ეროვნული კრების როლი და გააქტიურონ მისი საქმიანობა იმ მასშტაბურ ამოცანათა შესაბამისად, რომლებიც ვიეტნამელი ხალხის წინაშე დგას სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე.

● ᲖᲘᲛᲑᲐᲑᲕᲔ

ᲛᲣᲒᲐᲑᲔᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ჰარარე. ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა რობერტ მუგაბემ სერიოზულად გაფრთხილა სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი იმის თაობაზე, რომ საშიში შედეგები მოჰყვება დესტაბილიზაციის პოლიტიკას, რომელსაც იგი ადგას სამხრეთ აფრიკაში. მაღე ედადგება ის დრო, როცა „ფრონტსპირა“ სახელმწიფოები შეძლებენ გადაჭრით მოიგერიონ აპარტეიდის რეჟიმის აგრესიული ხრიკები, განაცხადა მან აქ გამართულ პრესკონფერენციაზე. იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკის მხედრიონი აარტიურებს შეიარაღებულ პროვოკაციებს, დივერსიებსა და ძირგამომთხრელ აქციებს, არ შეიძლება დავჯერდეთ პრეტორიის მხოლოდ სიტყვიერ დაგმობას, ხაზგასმით აღნიშნა ზიმბაბვეს მთავრობის მეთაურმა, რომელიც მიუმხრობლობის მოძრაობის თავმჯდომარეა, საჭიროა კონტინენტის სამხრეთ ნაწილის დამოუკიდებელი ქვეყნების უშიშროების „უზრუნველყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების გაჩხრიკილება, მათი თავდაცვისუნარიანობისა და ერთიანობის ყოველმხრივი განმტკიცება.

შეეხო ინ სამშაბათს ეთიოპიაში დამთავრებული ოფიციალური ვიზიტის შედეგებს, რ. მუგაბემ გამოთქვა რწმენა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეიწყობს სოციალისტური მშენებლობის გზაზე დამდგარი აფრიკის ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. ზიმბაბვეს პრემიერ-მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისა და საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესს, რომელიც ეთიოპიაში მიმდინარეობს.

● ᲯᲐᲰᲘᲢᲘ

ᲣᲑᲠᲣᲕᲓᲔᲑᲐᲗ ᲘᲛᲔᲓᲘ

პარაპ�. ჰაიტის მილიონზე მეტი მოქალაქე, ანუ ქვეყნის მოსახლეობის მეექვსედი, იძულებული იყო სამშობლოდან გადასვლილიყო დიუვალიეს დიქტატორის მმართველობის წლებში. ისინი გაეფანტნენ პოლიტიკურ დევნას, შიმშილს. შარშან დიქტატორული რეჟიმის მეთაურის გაქცევის შემდეგ მრავალმა ლტოლვილმა დაიწყო სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულ ჰაიტელებს უცრუვდებათ იმედი, ჰაიტის შრომისუნარიანი მოსახლეობის 65 პროცენტს ჯერჯერობით არა აქვს სამუშაო.

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲙᲘᲜᲝᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

კანი. საკდესის კორ. იური ლოპატინი იუწყება: სამხრეთ საფრანგეთის ქალაქ კანში დამთავრდა საიუბილეო, მეორმოცე საერთაშორისო კინოფესტივალი. როცა ჟიურომ გამოაცხადა გადაწყვეტილება, მთავარი პრემია — „ოქროს პალმის რტო“ ფრანგ დამდგმელს მორის პიალას მინენბოსო ფილმისათვის „სატანის მზის ქვეშ“, დარბაზში გაისმა აღშფოთების შეძახილები და სტვენა. მთელ რიგ ადგილობრივ კრიტიკოსებს ეს გადაწყვეტილება სადავოდ, ფილმი კი მეტისმეტად მისტიკურად და ნაკლებ გამომსახველად მიაჩნიათ.

ჟიურის დიდი სპეციალური პრემია მიენიჭა საბჭოთა რეჟისორს თენგიზ აბულაძეს ფილმისათვის „მონანიება“.

ფესტივალის „ოქროს კამერით“ დაჯილდოდა ახალგაზრდა ქართველი ხელოვანი ნანა ჯორჯაძე, დამდგმელი რეჟისორი სატირული კომედიისა „რობინზონადა ანუ ჩემი იმედლისელი პაპა“.

ფესტივალის პრემიებით აღინიშნა: საუკეთესო რეჟისურისათვის — ცნობილი ოსტატი ვიმ ვენდერსი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. — ფილმი „სურვილის ფრთები“), მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — ჰოპულარული იტალიელი მსახიობი მარჩელო მასტროიანი (საბჭოთა კავშირ-იტალიური ფილმი „შავი თვალები“. რეჟისორი ნიკიტა მიხალკოვი), ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის — ამერიკელი ბარბარა ჰერში (ანდრია კონჩალოვსკის ფილმი „მოკრძალებული ადამიანები“).

საიუბილეო, მეორმოცე კინოფესტივალის სპეციალური პრემია ჟიურომ ერთხმად მიანიჭა გამოჩენილ იტალიელ რეჟისორს ფედერიკო ფელინის (ფილმი „ინტერვიუ“).

ლონდონი. საკდესის კორ. პეტკოვი და რიბკინი იუწყებიან: „ქართველმა სცენის ოსტატებმა გვიჩვენეს მსახიობური თვალსაზრისით გაბედული და შესანიშნავად შესრულებული საცეკვაო კომპოზიცია“ — ასე დაახასიათა „ტაიმსმა“ ბრიტანეთის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს თეატრ „პალადიუმში“ გამართული საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველი კონცერტი. ცეკლოვან და ლამაზ ქართულ ცეკვებს გულგრილი არ დაუტოვებია მაყურებლები, რომლებმაც დარბაზი ავსეს. მხატვრული კოლექტივის თითოეული ცეკვა ცხოველ რეაქციასა და მჭუხარე ტაშს იწვევდა. დიდხანს არ შეწყვეტილა ოვაცია, როცა ანსამბლმა შეასრულა ხევსურული ცეკვა, რომელმაც ინგლისელები გააოცა გრიგალისებური ტემპითა და დახვეწილი ტექნიკით. ხმლების ნაპერწკლებმა, თითქოს საქართველოს მზის სხივებიო, ლონდონის მომთხოვნი მაყურებლის გულამდე მიაღწია.

„მართალი რომ გითხრათ, შემთხვევით დავესწარი ამ კონცერტს. გავლით ვიყავი ლონდონში. მანამდე წარმოდგენაც არა მქონია, თუ რამდენად მდიდარი და კოლორიტულია ძველი ქართული კულტურა, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში კოვენტრელმა ედიტ მოლიემ. — სამწუხაროდ, ბრიტანელებმა ცოტა რამ თუ იციან საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის შესახებ, საქართველოს მაგალითით ასეთი შეხვედრები კი მათ შესაძლებლობას აძლევს უკეთ გაიცნონ თქვენი ქვეყნის ეროვნული ფოლკლორის მრავალფეროვნება და თავისთავადობა“.

„ეს, მგონი, ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობა იყო, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ჩემს სიტყვებს ადასტურებს მაყურებელთა რეაქციაც, რომელიც პირდაპირ წარმოუდგენელია“, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფირმა „ინტეგიმენტ კორპორეიშნს“ დირექტორმა ვიქტორია ჩარლტონმა, რომელმაც მოაწყო საქართველოს კოლექტივის გასტროლები დიდ ბრიტანეთში. „ჩემი აზრით, კულტურულ გაცვლას დადებითი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნების ურთიერთგაგებისა და ნდობის საქმეში“, — დასძინა მან.

კონცერტის განყოფილებათა შორის შესვენების დროს საკდესის კორესპონდენტები შეიჭრნენ კულისებში, სადაც შეხვდნენ მთავარ ქორეოგრაფს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ნინო რამიშვილსა და ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელს თენგიზ სუხიშვილს, რომლებმაც ილაპარაკეს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ქალაქებში თავიანთი მოგზაურობის შესახებ. „მხოლოდ გუშინ ჩამოვედით ლონდონში ბელფასტიდან და მაშინვე რეპეტიციებს შევუდექით. მართალია, მსახიობები ძალზე დაქანცა გზამ, მაგრამ სურვილმა, რომ რაც შეიძლება კარგად გამოსულიყვნენ დედაქალაქის მომთხოვნი მაყურებლის წინაშე, დამატებითი ძალები და ენერგია შემატა. წარმოდგენის პირველი ნახევრით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენმა მოცეკვავეებმა შეძლეს ადგილობრივი მაყურებლის გულის მონადირება, მოხიბლეს თავიანთი ცეკლოვანი ცეკვებით“, — თქვა თ. სუხიშვილმა. „აქ ორი კვირის განმავლობაში გამოვალთ, შემდეგ კონცერტებს გავმართავთ ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის 16 ქალაქში. ჩვენ უკვე მეშვიდედ ჩამოვდივართ დიდ ბრიტანეთში და ყოველთვის ძალიან გულთბილად გვხვდებიან. ამ გასტროლების დროს ჩამოვიტანეთ ბევრი ახალი ნომერი, რომლებიც წინათ არ გვიჩვენებია. კერძოდ, აქ გაიმართება მთიულური ცეკვის პრემიერა, — თქვა თ. სუხიშვილმა.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ

„ჩვენი კოლექტივი მუდმივ შემოქმედებითს ძიებაშია. რაც უნდა სრულყოფილ ტექნიკა და ეეძებთ ცეკვის ახალი ვარიაციები, ჩვენი მთავარი ამოცანაა არ დავკარგოთ კავშირი ქართველი ხალხის ძველ კულტურასთან. სწორედ იგია შემოქმედების უშრეტი წყარო, რომელიც უნდა დავაფასოთ, შევინარჩუნოთ და განვავითაროთ.

„აქ ძალიან კარგად გვიგებენ და საერთოდ მომწონს ინგლისელი მაყურებელი. მისა რეაქცია მოწმობს, რომ კარგად ესმის ცეკვის ხელოვნება. ჩვენს ანსამბლს ფრიად შინაარსიანი საკონცერტო პროგრამა აქვს. წელს ვაპირებთ ვიმოგზაურთ ინდოეთში, გასტროლებს გავმართავთ შუა აზიის რესპუბლიკებში. სეროზულად ვემზადებით დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულისათვის. უკვე დავიწყეთ მუშაობა დიდ კომპოზიციაზე, რომლის ჩვენებასაც ვაპირებთ საზეიმო კონცერტზე კრემლის ყრილობათა სასახლეში“, — განაცხადა ნინო რამიშვილმა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ: ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲩᲠᲓᲘᲚᲘ?

— დასავლეთის ზოგიერთ გაზეთში დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც ამტკიცებენ, თითქოს საქართველოში უმუშევრობა იყოს. რას გვეტყოდით ამის თაობაზე? — ასეთი შეკითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ვალერი ქაჯაიამ რესპუბლიკის შრომის კომიტეტის თავმჯდომარეს რუსუდან ჯაფარიძეს.

— სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: საქართველოში ერთი კაციც კი არ არის, რომელსაც მუშაობა უნდოდეს და სამუშაო ვერ მიიღოს სპეციალობის მიხედვით.

— მაგრამ მე თვითონ რომ ვიცნობ თბილისში მცხოვრებ ბევრ პედაგოგს, რომელიც სპეციალობის მიხედვით ნახევარ განაკვეთზეც კი რომ ვერ მოწყობილა...

— დიახ, თბილისსა და ზოგიერთ სხვა დიდ ქალაქში სკოლაში მასწავლებლად მოწყობა გაჭირდა, რიგშიც კი დგანან. მეტსაც ვეტყვით, ამ ქალაქებში ასევე ძნელია სამუშაოზე ექიმად მოწყობა. ამავე დროს სოფლად არც ექიმები გვყოფნის და არც მასწავლებლები. მაგრამ პედაგოგიური და სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ კურსდამთავრებულს სოფლად წასვლა არ უნდა. ეს როგორც მათი მოქალაქეობრივი შეგნების დაბალი დონის, ისევე უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახლანდელი სისტემის ნაკლოვანებათა შედეგად მიმაჩნია. მაგალითად, ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სოფლებიდან მოდიან, ჩვეულებრივ მშობლიურ ადგილებს უბრუნდებიან. მაგრამ აი, ქალაქის მცხოვრებთა ნაწილს კი ხშირად ქალაქშიც კი არ სურთ სკოლებში მასწავლებლის სპეციალობით მუშაობა: მათ არ უყვართ ბავშვებთან მუშაობა, ამის მოწოდება არა აქვთ. ჩვენმა კომიტეტმა 1985 წელს მოაწყო სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელმაც 11 ათასი უმუშევარი პედაგოგი გამოავლინა, აქედან 95 პროცენტს დისასხლისი ქალები შეადგენდნენ.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ფაქტები სამწუხარო გაგრძელებაა იმ საკითხისა, რომლითაც ახე ვამაყობთ, — უფასო სწავლისა? ზოგიერთისთვის უმაღლესი განათლების დიპლომი თავისებური მზითვი ხდება, რომელსაც, სხვათა შორის, მშობლები კი არ ანებენ, არამედ სახელმწიფო.

— გარკვეული თვალსაზრისით მართალი ბრძანდებით. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს უარი უნდა ვთქვათ უფასო სწავლაზე. პირიქით, ახლა სტიპენდიების მომატებას ვაპირებთ: ჩვენში მეტი სტუდენტი გვეყოლება, რომლებსაც სასწავლებლად შრომითი კოლექტივები გამოგზავნიან. მაგალითად, თუ კოლმეურნეობას აგრონომები, ინჟინრები, მასწავლებლები ან ექიმები სჭირდება, სოფელი უმაღლეს სასწავლებელში გამოგზავნის ახალგაზრდებს, რომლებმოსწორებისათვის ყოველი ღონე უნდა იხმაროს თვით სარედაქციო კოლექტივებმა და შესაბამ

XX საკავშირო ფესტივალი 1987 ქართული სტუდია
თბილისი

საკავშირო ფესტივალი: შეხვედრების კალეიდოსკოპი

თბილისში სულ უფრო შლის მხარს საკავშირო კინოფესტივალი. კინოთეატრებში ყოველდღე ეწყობა საკონკურსო და კონკურსგარეშე ფილმების ჩვენება. მაყურებელს უკვე უჭირე უჩვენეს თავისი ნამუშევრები მოლდავეთის, აზერბაიჯანის, ლიტვის, მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და ოდესის კინემატოგრაფისტებმა.

კინოფორუმის მონაწილენი გაეგრძობენ ურთიერთგამამდიდრებელ კონტაქტებს, იცნობიან რესპუბლიკის დედაქალაქს. „მოსფილმის“, უზბეკეთის, ლიტვისა და მოლდავეთის ეკრანის ოსტატები შეხვდნენ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ შრომითს კოლექტივს.

— მომთხოვნი და კეთილმოსურნე მაყურებლის აზრი ჩვენთვის, კინომოღვაწეთათვის, ძალზე მნიშვნელოვანია, — თქვა შეხვედრაზე კინოსტუდია „მოსფილმის“ მთავარმა რედაქტორმა ე. მამიელოვმა. მან ილაპარაკა მთავარი საბჭოთა სტუდიის საქმიანობაზე.

დიდ ხელოვნებასთან ზიარების სიხარულზე ილაპარაკა შეხვედრის დროს „ელვას“ გენერალურმა დირექტორმა ვ. ავალიანმა. ფესტივალი, — აღნიშნა მან, — დღესასწაულია ეკრანის ოსტატებისთვისაც და ჩვენთვის, მაყურებლისთვისაც. ჩვენ მოგვწონს შინაარსიანი ფილმები, რომლებიც წარმოაჩენენ ჩვენს თანამედროვეებს.

სტუმრები იყვნენ გაერთიანების საამქროებში, მათ დაათვალიერეს მისი სპორტული კომპლექსი.

პოპულარული კინომსახიობები ელზა ლეჟდეი, ვსევოლოდ საფონოვი, სერგი იაკოვლევი, ოლეგ ანოფრიევი და სხვები ესაუბრნენ საწარმოს მშრომელებს, დაინტერესდნენ მათი ცხოვრებით, გაუზიარეს თავიანთი გეგმები. გაერთიანების მუშები და სპეციალისტები ტაშით შეხვდნენ სერგი იაკოვლევს, რომელიც მათ წარუდგა როგორც... პოეტი, ხოლო ოლეგ ანოფრიევმა „ელვას“ შრომელთა სამსჯავროზე გამოიტანა თავისი იმპროვიზაციები და პაროდიები ვახტანგ კოკობაძეზე, იოსებ კობზონზე, ალ. ივანოვზე.

სტუმრად კურსანტებთან

ტრადიციული სამხედრო მართით შეხვედნენ ფესტივალის მონაწილეებს თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვან წითელი ვარსკვლავის ორდენოსან მეთაურთა საარტილერიო უმაღლეს სასწავლებელში. აქ მოვიდნენ გორკის სახელობის, „ცენტრნაციფილმის“, „სოიუზმულტფილმის“, კინოსტუდიების შემოქმედი მუშაკები, სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წარმომადგენლები.

სტუმრები მიიწვიეს სასწავლებლის მუზეუმში. დიდ ფერწერულ პანოზე, რომელიც მუზეუმის შესასვლელში ეკვრება დამთავარეირებელს, აღბეჭდილი არიან სასწავლებლის სხვადასხვა წლის კურსდამთავრებულნი. ეს პანო კურსანტებს აჩუქეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვრებმა ნ. ოქრობირიძემ და გ. კეშელავამ. სურათის ერთ-ერთმა პერსონაჟმა მიიპყრო რსფსრ სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ა. რომაშინის ყურადღება.

— რა სასიამოვნო მოულოდნელობაა ჩემთვის, — ამბობს მსახიობი, — მე ხომ კინოსურათის „განთავისუფლებაში“ ამ პანოზე გამოხატული საბჭოთა კავშირის გმირის ვ. შატილოვის როლს ვასრულებ, რომელიც რიიხსტაგის მოიერიშე 150-ე მსროლელთა დივიზიის შეთაური იყო. მოსკოვი ვუამბობ. ჩემს მეგობარს გადამდგარ გენერალ-პოლკოვნიკ ვ. შატილოვს ამას. მიყვარს სამხედროფორმიანი გმირების თამაში. — იღიმება მსახიობი. — თუ გავითვალისწინებთ, რომ ექვსჯერ მითამაშია გენერლები, ხოლო ყოველი ფირის გადაღება სულ ცოტა ორ წელიწადს გრძელდება, მაშინ, ხატოვნად თუ ვიტყვით, ეს წოდება თორმეტი წელი მიტარებია...

მომავალი არტიერისტების სახელით ფესტივალის მონაწილეებს მიესალმა სასწავლებლის უფროსი პოლკოვნიკი ვ. დენისენკო. შემდეგ გამოვიდნენ რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ივაშოვი, რომელსაც მაყურებელი იცნობს ალიოშა სკვორცოვად კინოფილმიდან „ბალადა ჯარისკაცზე“, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ი. შატროვი, მსახიობები ლ. იარმოლნიკი, ს. ორლოვა და სხვები.

მხატვარი ფოტოკამერით

საბჭოთა და საზღვარგარეთული კინემატოგრაფის ცნობილ მოღვაწეთა ფოტოპორტრეტების გალერეა წარმოადგინა მხატვარმა-ფოტოგრაფმა ნიკოლოს ფნისიუკმა თავისი ნაწარმოებების პერსონალურ გამოფენაზე, რომელიც თბილისის კინოსახლში გაიხსნა.

ეს ექსპოზიცია შემთხვევით როდი მოეწყო კინოფესტივალის დღეებში. ნ. ფნისიუკი აგერ უკვე თითქმის 20 წელია მუშაობს ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანში“ და კინო მისი შემოქმედებითი ინტერესების მთავარი სფეროა.

ვერნისაჟზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რეჟისორი ლანა ღოლობერიძე და რიგის კინოსტუდიის დირექტორი პიკ რიპარდი. მათ შეკრებილთ წარუდგინეს გამოფენის ავტორი, ილაპარაკეს მის შემოქმედებაზე. (საძინფორმი).

ცნობილმა კინორეჟისორმა, ამქვეყნიდან უდროოდ წასული ხელოვნის ანდრია ტარკოვსკის ხსოვნის საღამომ, რომელიც კინემატოგრაფისტთა სახლის დიდ დარბაზში გაიმართა, უამრავი მისი კოლეგა, კინოს მოღვაწე, მისი ხელოვნების თაყვანისმცემელი მიიზიდა.

საღამო ჭეშმარიტი შემოქმედის ნიჭის ალიარების კიდევ ერთი დასტური იყო. ხელოვნის ცნობარების, მასთან ურთიერთობის საინტერესო ფაქტები გაიხსენეს ცნობილმა ქართველმა კინორეჟისორებმა ე. შენგელაიამ, ლ. ღოლობერიძემ, გ. შენგელაიამ, ეკრანლისტმა ჯ. კალატოზიშვილმა, კინომცოდნემ ნ. ზორკაიამ. რეჟისორთან მუშაობის ფრიად საყურადღებო ეპიზოდები დამსწრეთ გაუზიარა რუსეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ტერეხოვამ.

სურათებზე: ანდრია ტარკოვსკის საღამო კინოს სახლში.

ფ. ქრიმსკის ფოტო.

ლაპარაკობენ ფესტივალის მონაწილენი

ტ. ოკეევი,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

საბჭოთა ყირგიზეთის დელეგაციას გულით მოუხარიოდა კინოფესტივალზე. დარწმუნებული ვარ, ამ დღეში იქნებოდა ფესტივალის ყველა მონაწილე, და იცით რატომ? საოცარი „მიზიდულობის ძალა“ აქვს თქვენს მადლიან ქვეყანას. იგი არა, მარტო სტუმართმოყვარეობით, გულითადობით, არამედ სულიერი კულტურის უმაღლესი გამოვლინებითაც გამოირჩევა. აი, დავდიავ ორი დღეა რუსთაველის პროსპექტზე და უპირველესად თვალში მხვდება თეატრები, მუზეუმები, საგამოფენო დარბაზები... ეს მისაბაძია. და, რაღა თქმა უნდა, მისაბაძია ქართული კინემატოგრაფია. ჩვენ მართლაც ბევრს ვსწავლობთ თქვენგან, ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა შეუთავსოს ხელოვანმა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო სატკივარი და სათქმელი. მე მეამაყება ჩემი მეგობრების ლანა ღოლობერიძის, ძმები შენგელაიების, რეზო ესაძის და სხვების ჭეშმარიტი შემოქმედება.

ფესტივალში საკონკურსოდ არის წარმოდგენილი ჩემი ფილმი „სიყვარულის მირაჟი“, რომელიც „ტაჯიკფილმთან“ და სირიელ კინემატოგრაფისტებთან ერთად დავდგი. ფილმი ეძღვნება შუა საუკუნეების უსახელო მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს, რომლებმაც ხელთუქმნელი ძეგლები დატოვეს შუა აზიის ქალაქებში. ვნახოთ, რა „განაჩენს“ გამოუტანს ამ ნაწარმოებს ფესტივალის ჟიური.

ა. პრაჩენკო,
კინორეჟისორი, კიევი

საკავშირო კინოფესტივალში მეორედ ვმონაწილეობ, პირველად 1984 წელს კიევის ფესტივალზე საბავშვო და საყმაწვილო ფილმების კონკურსში ჩემი რეჟისორობით გადაღებულ ფილმს მეორე პრიზი ერგო.

არც ამჯერად ჩამოვსულვარ კინოფესტივალზე ხელცარიელი. კვლავ საბავშვო და საყმაწვილო ფილმების კონკურსში მონაწილეობს ჩემი მეორე ფილმი „კაპიტანი პილიგრიმი“. იგი კიევის ა. დოვჟენკოს სახელობის კინოსტუდიაში გადავიღეთ ცნობილი მწერლის ჟიულ ვერნის რომანის „თხუთმეტი წლის კაპიტნის“ მოტივების მიხედვით. ამ სათავგადასავლო ფილმში ერთ-ერთ მთავარ — ნეგორის როლს ქართველი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნოდარ მგალობლიშვილი ასრულებს. ეს მსახიობი ძალიან მომწონს, მასთან უშუალო შემოქმედებითი ურთიერთობა, ვფიქრობ, კარგად დაიწყო, ახლა სიტყვა მაყურებელს ეკუთვნის.

ფილმის გადაღებაც უმეტესად საქართველოში, ფოთსა და ბათუმში მიმდინარეობდა.

რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რომელიც ამჟამინდელ კინოფესტივალის პირობებში შეინიშნება, მისასალმებელია. თუმცა, საერთოდ, მე მაინც მეჩვენება, რომ კინემატოგრაფში გარდა ქმნის პროცესი ნელა მიმდინარეობს... თეორიულად ბევრი ხელოვანი იზიარებს მის საერთო ძვრებს, მაგრამ პრაქტიკულად მერყეობენ, გაბედულ ნაბიჯებს ვერ დგამენ. საჭიროა უფრო სწრაფი და ძირეული ცვლილებები მოვახდინოთ. ჩემი აზრით, უნდა იშვას ახალი კინოდ.

გაფვლილი ზამთრის ქმო

სტიქია და ადამიანები

სვანეთის გაზაფხული

სვანეთის მატიანე გრძელდება, ყოველდღე სიმამაცის ახალ-ახალი ფაქტები ამდიდრებს მას. მაგალითად ამ დღეებში მესტიის ელექტროქსელების საწარმოს კოლექტივმა პირობა დადო 7 ნოემბრისათვის შეავსრულებთო სახელმწიფო დავალებებს, რაც ჩვეულებრივ დღეებშიც კი ძნელი ამოცანაა. და რაოდენ ვაკეცურია მესტიელ ენერგეტიკოსთა ეს სიტყვები, როცა კვლავ ძილფხიზლობს სტიქია! დღეს მთელი სვანეთი ლაპარაკობს ამ ადამიანებზე, და აი, რატომ:

...ვერტმფრინავში, რომელიც უკვე მერამდენედ მიფრინავს მესტიიდან თექვსმეტი კაცის მოსაძებნად, ჩვენც — საქინფორმის კორესპონდენტებიც ვართ. უკვე თებერვლის ორი კვირა მიმელია, მაგრამ მესტიის ელექტროქსელის საწარმოს სახაზო საავარიო ბრიგადაზე, რომელიც მაგისტრალური ელექტროგადამცემი ხაზების აღსადგენად გაემართა, არაფერი ვუწყით.

ზეობაში, რომლის ფერდობებზეც ჯვარ-ხაიშ-მესტიის ავტოტრასა გადის, ყველაფერი ისე ჩანს, როგორც შავ-თეთრ ტელევიზორში: სხვა ფერები წამლილია. ვაკვირდებით თეთრ მდუმარეს.

სამწუხაროდ, ამ დღესაც ამაო გამოდგა ძებნა...

საწარმოს დირექტორს გულადი ჯაფარიძეს, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ბრიგადას, ამას წინათ შევხვდით. მთელი ბრიგადა ამტკიცებს, რომ თითოეულის მოქმედებაში თუ რამ გმრული იყო, ეს სწორედ მან შთააგონთ. ყველა ერთსულოვნად აცხადებს, იქ, სადაც ყველაზე მეტად ჭირდა, პირველი ის მდგომდა.

— ოცდაერთი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ თოვდა, — გვითხრა მან, — სოფლებში და რაიონულ ცენტრშიც სინათლე ჩაქრა. მეორე დღეს ღილით ტრასაზე ვიყავით, გზას გვეღობოდა სამმეტრიანი თოვლი, მაგრამ თხილამურებით გავაღწიეთ, ცხრა გადასარბენზე მოვახერხეთ დაწყვეტილი ხაზების აღდგენა, ელექტროგადამცემი ხაზების ბურჯების ფეხზე დაყენება და ანძის გამართვა, რასაც თერმეტი დღე მოვანდომეთ.

იმ დღეებში გაზეთები იუწყებოდნენ კიდეც, რომ აღდგენილი იყო ჯვარ-ხაიშ-მესტიის გზები, რომ სვანების სახლებში სინათლეა და შეუფერხებლად მუშაობს კავშირგაბმულობა.

— ის-ის იყო, მესტიაში დავბრუნდით, მაგრამ... კვლავ ახალი ცნობა!... არნახულად თოვდა! წავიღეთ საგზალი, საჭირო ინსტრუმენტები და გზას დავადექით... დაბზმარე მექანიზმებზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ყველაფერს ხელით ვაკეთებდით.

...თებერვლის პირველ რიცხვებში მესტიიდან რაციით (კავშირის სხვა სამუალება არ იყო) რედაქციას მორიგი სამწუხარო ცნობა გადავეცით... დავამთავრეთ თუ არა ტექსტის გადაცემა, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის რადიოოპერატორმა ვიოლეტა მუშკუდიანმა წამოიყვირა: „ხაიში ლაპარაკობს!..“ შამაკაცის ჩახრინწული ხმა გვეუწყებდა: სოფელ ჭერს მეწყერმა გადაუარა. დაღუპენენ ადამიანები, არიან დაშავებულებიც. ვამზადებთ ვერტმფრინავის დასაჯდომ მოედანს. მსხვერპლის რაოდენობას ვაზუსტებთ“... მხოლოდ ახლახან შეეტყვეთ, რომ ეს ამბავი სწორედ გულად ჯაფარიძის ბრიგადის წევრებმა აუწყეს ხაიშელებს, მანამდე კი ხელებდასისხლიანებულებს თოვლიდან ამოჰყავდათ ადამიანები.

სწორედ მათ უნდა უმადლოდნენ გადარჩენას დედა და სამი შვილი, რომლებიც ელექტრიკოსებმა ნაკრასა და დიხს შორის მეწყერით მოწყვეტილ გზაზე იპოვეს. სამოცზე მეტი ადამიანი იხსნეს მათ იმ ძნელედმობის დღეებში.

— რა გვამოძრავებდა? — ამბობ, ჩვენზე უკეთ ვინ იცოდა, როგორ სპირდებოდათ ადამიანებს სითბო და სიხალეე, — გვეუბნება გულადი.

...საბუშაოებს, რომლებიც მესტიელმა ელექტრიკოსებმა შეასრულეს, ჩვეულებრივ პირობებში დაახლოებით ოთხი თვე სჭირდებ. მათ კი 32 დღეში გაართვეს თავი ამას და ახლა რაიონში არც ერთი საათით არ წყდება ელექტროენერგიის მიწოდება. ზვავი და მეწყერი კვლავაც არის, მაგრამ გულადი და მისი ბიჭები ფიზიზლად არიან!

(საქინფორმი).

სურათებზე: ხაიშეთში ისევ გაზიფიცირებულია, ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტში ჩამდგარა — ასეთი წარმოუდგა იგი ფოტორეპორტიორს. ჩინებულ გუნებაზე არიან ნორჩი მთიელები, რომლებიც შორეულ მწვერვალთა დაყრობაზე ოცნებობენ (ზემოთ); სიმშვიდე და ხვალის დღის რწმენა ალბეჭდვიათ სახეზე სვანებს. ასეც იქნება, როცა ამგვარი ზრუნვა და თანადგომაა!

თანადგომა გრძელდება

სარედაქციო ფოსტას კვლავ მოაქვს დეპეშები თუ ბარათები, რომელთა ავტორები დახმარების ხელს უნვდიან და თანადგომას აღუთქვამენ დაზარალებულთ. აი მაგალითებიც:

„რესპუბლიკის გარეთ მცხოვრები ქართველები ორმაგად განვიცდით საქართველოს მთასა თუ ბარში დატრიალებულ სტიქიურ უბედურებას. „კომუნისტის“ მეშვეობით თითქმის დაწერილებით ვეცნობით მოვლენებს.

ამას წინათ კიევში გაიმართა უკრაინის სსრ სამხატვრო ფონდის წარმოების დირექტორების თათბირი. უკრაინის სახალხო მხატვრმა მიხეილ ბელსკიმ წინადადება შემოიტანა მხარში ამოვდგომოდით ქართველ ხალხს ამ გაჭირვების ჟამს. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული და 10000 მანეთი გადაირიცხა მეშვიდასე ანგარიშზე. როგორც კიევის მონუმენტურ-დეკორატიული კომბინატის დირექტორი, მეც ვმონაწილეობდი ამ თათბირში.

აქ ყველას ახსოვს ქართველი ხალხის თანადგომა ჩერნობილის ტრაგედიის დროს, და გული სიამაყით მევსება, როცა მთელი უკრაინა ასევე გულით იზიარებს ქართველთა გასაჭირს. შ. სიჭინავა. კიევი“.

„ქალაქ ორჯონიკიძის ქართული სკოლის პედკოლექტივი და მშობელთა კომიტეტი ძალზე განვიცდით იმ ტრაგედიას, საქართველოს რომ დაატყდა თავს სტიქიის შედეგად, გადავწყვიტეთ ჩვენი მცირე წვლილიც შეგვეტანა დაზარალებულთა დასახმარებლად და 2120 მანეთი გადავრიცხეთ დახმარების ფონდში. რ. თინიკაშვილი“.

„ბოლნისის რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების სამეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის ქვის დამმუშავებელი საამქროს უფროსმა ამბროსი მაისურაძემ და სამუშაოთა მწარმოებელმა ანატოლი სკუბამ ამ სამიოდე წლის წინათ წამოაყენეს რაციონალიზატორული წინადადება ქვის ბლოკების სასვეხი დანადგარების რეკონსტრუქციის თაობაზე. წინადადება მოიწონეს სპეციალისტებმა, ხოლო მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმაც დაამტკიცა, საავტორო უფლებით დაინერგა წარმოებაში.

ახალი ტიპის სასერსის სადღეკამისო მწარმოებლობა ბის წინამორბედზე სამჯერ მეტია და ყოველწლიურად 160-200 მანეთ ეფექტს იძლევა.

რაციონალიზატორული წინადადების ავტორები ახალი დანადგარის გამოყენებით მიღებული საწარმოო ეფექტიანობისათვის ყოველწლიურად იღებენ ფულად ჯილდოს; მათ 3.174 მანეთი, რომელიც წლეულს უნდა მიეღოთ, მთლიანად მეშვიდასე ანგარიშზე გადარიცხეს. თ. მუშკუდიანი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი“.

„ქალაქ კისლოვოდსკში მცხოვრებმა ქართველებმა 7245 მანეთი ჩავრიცხეთ დახმარების ფონდში. გრიგოლ გობეჯიშვილი“.

თანადგომა და დაზარალებულთა დახმარება გრძელდება.

ნარკომანია სოციალური ბოროტებაა

ზედმეტია იმის გამეორება, რომ დღეს ნარკომანია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემაა. მით უმეტეს, რომ მრავალი ნარკომანი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა.

რას უნდა ველოდოთ ნარკომანისაგან? მხოლოდ საზიანო შთამომავლობას. და, რა თქმა უნდა, სამართალდარღვევებს: ნარკომანთა უმრავლესობა პოტენციური დამნაშავეა, რადგან მათ მომაკვდინებელი შხამის შესაძენად, რომელიც ნიადაგ ძვირდება „შავ ბაზარზე“, სხვა საშუალება არა აქვთ. სწორედ ამიტომ ბანგის

დანაშაულის სათავე

ტელეეკრანი გიწვევთ ნარკომანიაზე საუბარისათვის

თაყვანისმცემელნი იწყებენ ქურდობას, ძარცვას, აყენებენ ადამიანს სხეულის დაზიანებას. ხშირია ამ წრეში მკვლელობისა და თვითმკვლელობის შემთხვევები.

ამ სოციალურად საშიში მანკის წინააღმდეგ საბრძოლველად დაირაზმა არა მარტო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო, არამედ ფართო საზოგადოებრიობაც. საერთო საქმეში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შექმნილ საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტს. ჯერ კიდევ მიმდინარე წლის თებერვალში ამ ფორმირების წევრებმა მოუწოდეს რესპუბლიკის მოსახლეობას აღიმაღლოს ხმა, ჩაება ნარკომანიის წინააღმდეგ უღმობელ ბრძოლაში.

მიმართვის გამოქვეყნების შემდეგ რესპუბლიკურმა პრესამ მრავალი გამოხმაურება მიიღო. იწერებოდნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები და გამოთქვამდნენ თავიანთ გულისტკივილს, ითხოვდნენ დახმარებას. ყველა წერილი კი შეიცავდა საერთო მოთხოვნას — შეიქმნა დაღუპველი სენის, შხამის დამამზადებლების, გამავრცელებლებისა და გამომყენებლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი ფრონტი.

მრავალი წერილი მიიღო ადრეთვე საქართველოს სახტელევიზიომ. სწორედ ისინი დაიდო საფუძვლად გადაცემას, რომელიც ეძღვნება ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საკითხს.

გადაცემა ეთერში გამოვა შაბათს, 23 მაისს, 20 საათსა და 55 წუთზე. ამ გადაცემაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გარდა, მონაწილეობას მიიღებენ საშუალო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლები, მუშები, ომის და შრომის ვეტერანები, ავრეთვე საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის წევრები: პოეტი აკადემიკოსი ი. აბაშიძე, მწერალი ჭ. ამირეჯიბი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ამაღლობელი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციცაშვილი და სხვები.

ტელემაყურებლებს ეთხოვთ გაგვიზიარონ თავიანთი შთაბეჭდილებანი გადაცემის შესახებ. ძნელია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა მარტო სიტყვებითა და დადგენილებებით. საჭიროა მთელი საზოგადოებრიობის, ახალგაზრდობის დარაზმვა ამ ბოროტების ამოსაძირკვად. როგორც საქართველოს კომკავშვირის XXXIII ყრილობაზე აღინიშნა, ნარკომანია არის უაღრესად საშიში სოციალური მოვლენა, სენი, რომელიც შიგ გულში აყენებს ჭრილობას საზოგადოებას.

ნათელა ოტიაშვილი,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

(საქინფორმი.).

სეტყვა გურჯაანში

კოზლოს ვიუწყებოდით, 18 მაისს ღამით კვლავ ძლიერი სეტყვა დაატყდა თავს თელავის, გურჯაანისა და ყვარლის რაიონების მეურნეობებს. სეტყვამ, რომელიც 20-30 წუთს გრძელდებოდა, მნიშვნელოვნად დააზიანა ზვრები და ერთწლოვანი კულტურების ნათესები...

გურჯაანი. იმ დღეს მზე ანათებდა და არაფერი მიანიშნებდა საავდრო ღრუბლების გამოჩენას. მაგრამ შუაღამისას სეტყვამ წამოუშინა. დილისათვის ნათელი გახდა სტიქიის მორიგი შემოტევის სურათი.

ყველაზე მეტად დაზიანდა ზვრები, განსაკუთრებით საკარმიდამო ვენახები. წინასწარი გამოანგარიშებით, სულ დაზიანდა 270 ჰექტარი ფართობი ვენახი. დაზიანების დონე შეადგენს 15-დან 50 პროცენტამდე. ავდრის მოქმედების ზონაში აღმოჩნდნენ სოფელ შამიანის კოლმეურნეობა, კალაურისა და შრომის საბჭოთა მეურნეობები, სხვა მეურნეობები. დაზიანდა ავრეთვე ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები.

რაიონში შექმნილია მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელთა რეკომენდაციებით ხორციელდება აღსადგენი სამუშაოები ვენახებში, მარცვლეული, ბოსტნეული კულტურების მითესვა და გადათესვა.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲐᲒᲐᲕᲘ

XI საერთაშორისო

მოჭადრაკე ქალთა ახლანდელი შეჯიბრება რამდენადმე გვაგონებს წინა, X საერთაშორისო ტურნირს. პირველი ადგილის ძირითადი პრეტენდენტები კვლავ საქართველოს წარმომადგენლები არიან, იგივე ახმილოვსკაია და იგივე არახამია.

ეიმანარახამიას მეოთხე ტურის შეხვედრაში გათამამდა სიცილიური დაცვის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც არახამიას ძალიან კარგად აქვს დამუშავებული. რუმინეთის ჩეჩპინონი თანდათან დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ქართველი მოჭადრაკე ეტლებით შეიმჩნა თეორების განლაგებაში და სწრაფად აიძულა ისინი შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. თუ იმ გარემოებასაც დავუმატებთ, რომ არახამიას წინა ტურიდან გადადებულ პარტიაში ზაიცევა დანებდა, შეიძლება დავასკვნათ — ახალგაზრდა მოჭადრაკეს შეუძლია იბრძოლოს დიდოსტატის ბალისათვის, რომელიც, როგორც ჩანს, 8,5 ქულა იქნება. ზაიცევა-ახმილოვსკაიას შეხვედრაში ესპანური პარტიის გაცვლითი ვარიანტი შეგვხვდა, რომელსაც თავის დროზე წარმატებით მიმართავდა ლასკერი, 60-იანი წლების მიწურულში კი ფეშერმა ააღორძინა. ამ ვარიანტში შავებმა არაერთ ნაღმს უნდა აუარონ გვერდი, თუმცა ახმილოვსკაიას ამჟერად რაიმე სიძნელე არ შეხვედრია. საქმე ის არის, რომ ზაიცევა უფერულად თამაშობდა და ინიციატივა სწრაფად დაუთმო შავებს. ახმილოვსკაიამ მთელ თავის ძალებს მეფის ფრთაზე მოუყარა თავი და ძლიერი იერიშით გაიმარჯვა. ხუგაშვილისა და ქასოშვილის მეტად საინტერესო პარტიაში თეორებმა მეტოქეს პაიკი დაუთმეს და შეეცადნენ მათ ბანაკში შეჭრილი შავი მხედრის მოგებას. მეტად მწვავე პოზიციაში ქასოშვილმა მუდმივი ქიშით პარტიის ყაიმით დამთავრება ამჯობინა. ლეშნერმა მოუგო პეიჩევას, ლაგვილავა ყაიმზე შეუთანხმდა კონობლიოვას. კახიანი შავებით კარგად თამაშობდა ნიუბერგთან. პარტიის მეორე ნახევარში მან მატერიალური უპირატესობა მოიპოვა და გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობებს ინარჩუნებს.

4 ტურის შემდეგ 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ულენე ახმილოვსკაიას. 3-3 ქულა დაგროვეს ქეთევან არახამიამ და თამარ ხუგაშვილმა, 2 ქულითა და 1 გადადებული პარტიით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა ლილია ლეშნერმა.

გ. გამრეკელი.

ᲕᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲘ ᲐᲥᲕᲐᲡ

კალენდრის დაცვა შუა სეზონში ერთობ ძნელია. იმის გამო, რომ კალათბურთელ ვაჟთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ზოგიერთი მონაწილე საკავშირო თასის ზონალურ გათამაშებაში თბილისის „ქარიშხალას“ ღირსებას იცავდა, ამ ტურნირის რამდენიმე კალენდარული მატჩი გადაიდო. ამიტომ გუნდების სატურნირო მდგომარეობაზე ვერაფერს ვიტყვით. სამაგიეროდ, უკვე ჩატარებულ შეხვედრათა ანალიზის საფუძველზე ერთი ტენდენცია აშკარად გამოიკვეთა. გუნდი, რომელსაც უკეთესი რეზერვი ჰყავს, ძალებს მთელი ტურნირის მანძილზე უფრო სწორად და რაციონალურად ანაწილებს, სტაბილურ წარმატებებსაც აღწევს, თანაც თანაბარი ძალის გუნდები უფრო უკეთესად საკუთარ მოედანზე თამაშობენ. თუმცა ეს მუდამ ასე იყო და, ალბათ, ასეც იქნება.

ბათუმისა და თელავის კალათბურთელთა ერთი თვის წინანდელ შეხვედრებში უპირატესობა თელაველთა მხარეს იყო, რადგან, გუნდი შინ თამაშობდა. შემდეგ წარმატება ბათუმელებს ხვდათ. ასეთ დროს იტყვიან: მეტოქეები მშვიდობიანად გაიყარნენო.

რუსთავისა და გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში მასპინძლებს ძალა ბოლომდე არ ეყოთ. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რაზეც ზემოთ გავამახვილეთ ყურადღება. რუსთავის გუნდმა ორივე ბრძოლა რეზერვის გამოუყენებლად, ერთი და იგივე შემადგენლობით ჩაატარა. მათ პირველი ტაიმი ორივეჯერ მოიგეს, მაგრამ ლიდერს შემადგენლობის ცვლის მეტი საშუალება ჰქონდა და ბრძოლის ბედიც საბოლოოდ ამან გადაწყვიტა. რუსთავის გუნდი ორივე შეხვედრაში ერთი ხუთეულით თამაშობდა, პოლიტექნიკოსებმა კი მოეცდენზე 17 კალათბურთელი გამოიყენეს.

მართალია, ლიდერი ამჟერად საუკეთესო კალათბურთელის დავით გიორგობიანის გარეშე თამაშობდა (იგი დაშავებულია), მაგრამ ერთი რამ მაინც უდავოა: რომელ გუნდსაც უკეთესი რეზერვი ჰყავს, წარმატებას ის აღწევს. ამიტომ მწვრთნელებმა მეტი ყურადღება რეზერვის შექმნისა და განმტკიცების საქმეს უნდა მიაქციონ. რაც, სხვათა შორის, დიდ კალათბურთულაც სარგებლობას მოუტანდა.

მე-13 და მე-14 ტურის მატჩები ასე დამთავრდა: თბილისის „დინამო“-გორი — 79:72 (34:39) და 85:80 (46:29, 71:71); რუსთავი-პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 79:84 (43:39) და 70:73 (37:34); ბათუმი-თელავი — 65:56 (27:27) და 76:55 (36:28).

ბ. ნადირაძე.

ᲗᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

21 მაისი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — აშკარა — დაუჯერებელი. 10.05 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. ვ. ი. ლენინი. ცხოვრების ფურცლები. ტელეფილმი „ერთხელ არჩეული გზა. 1887-1893 წლები“. მესამე ფილმი „მოწიფულობა“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მშვიდობის ველორბოლა. 23.00 — კინოპანორამა. 23.45 — სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. 0.30 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ციმბირის მეამაღიანე“. 10.05 და 15.20 — ესპანური ენა. 10.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 11.05 — პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის. ისტორია. ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის ბელადი. 11.35 და 12.30 — ოჯახური ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. IX კლასი. 12.05 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ჩინებული ოსტატი ვასილ ბაჟენოვი“. 13.00 — მხატვრული ტელეფილმი. „ქმნილაკები“. II და III სერია. 15.25 და 19.00 — ახალი ამბები. 19.15 — მოგზაურთა კლუბი. 20.15 — ბამი: სოციალური ასპექტები. ცენტრალური ტელევიზიის გამსვლელი რედაქციის მასალების მიხედვით. მე-7 გადაცემა. 20.30 — თანამეგობრობა. ტელეჟურნალი. 21.00 — „ბილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — რიტმული ტანვარჯიში. 21.45 — დოკუმენტური ტელეფილმი „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ქმნილაკები“. III სერია. 23.45 — ახალი ამბები.